№ 11.

# ივერია

წელიწადი პირველი — 12 მაისს 1877 წ.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

გამოდის ხუთშაბათობით

ხელის მოწერა: ტფილისს, „ივერიის“ რედაქციაში, მთაწმინდის ქუჩაზე, შიოევის სახლების ზემოდ. № 5
ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

„ივერიის“ ფასი 1877 წელს.
ათის თვისა, გაგზავნით და გაუგზავნელად . . . 6 მან. —
თითო ნომერი . . . . . . . . . . . . . . . — 15 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდათ გამოგზავნილ წერილებს.
განცხადება მიიღება ქართულს და რუსულს ენაზე.

საძიებელი: I. ზოგიერთი რამ, წერილი მესამე.— II. საქართველოს მატიანე.—III. ომის ამბები.—IV. საპოლიტიკო მიმოხილვა.—V. თ. ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსი.— VI. კორრესპონდენციები.—VII. წერილი პეტერბურღიდამ.—VIII. ქალაქის სცენებისაგან.— IX. განცხადებანი.

## ზოგიერთი რამ

ჩვენ ისტორიაზე, არხეოლოგიაზე, ყოფა-ცხოვრებაზე და სხვ.

### III

ოსმალოს საქართველო ანუ მესხეთი *)

უეჭველია, ბევრი ქართველთაგანი ვერც კი წარმოიდგენს იმ სატანჯველს, რომელიც ოსმალებმა მიაყენეს მესხეთს. ოსმალნი გრძნობდნენ ქართველი ტომის ახოვანებას და სამხედრო გამოცდილებას, ამისათვის შიშობდნენ, რომ თუ ამერნი და იმერნი მჭიდროდ მოფენილა ერთ გვარ-ტომობისაგან მესხეთს მხარს მის-

ცემდნენ, ეს ბარბაროსნი ამ ადგილში ვერ გაიდგამდნენ თავის ფესვს. ეს იყო უპირველესი მიზეზი, რომ იმათ თავ და პირველადვე სასტიკი დევნულება აუტეხეს ყოველსავე მესხეთის-წესდებას, ზნეობას, ენას და თვით სარწმუნოებას რომ ქართველობა შაესუსტებინათ და ბოლოს სრულებით ამოეგდოთ, მაშინ, როდესაც სხვა სარწმუნოებისა და შთამომავლობის ტომნი, მაგალ. სომეხნი მესხეთის მოსახლენი, არა დევნულებაში არ ჩაცვივნულან. ოსმალნი შეუბრალებლივ ჰხოცდნენ და ჰყლეტდნენ ჩვენ მოძმეთ ლივანაში, შავშეთში, ერუშეთში, ფოცხოვში და არტაანში. ოსმალთ დასაწყისითვე იქ თავიანთი წესი შემოიტანეს: მესხეთი ფაშალიქად გასადეს და სანჯაყებად დაჰყვეს. იმათ რიცხვში რუსეთმა 1829 წელს საქართველოს დაუბრუნა მხოლოდ ხუთი სანჯაყი: ახალციხისა, აწყურისა, ასპინძისა, ხერთვისისა და ახალქალაქისა. ბატონ-ყმობა გააუქმეს და ამის გამო მრავალნი თავად-აზნაურთაგანნი ქართლ-კახეთში და იმერეთში გადაცვივდნენ. აი რას ამბობს ქართლის ცხოვრება მეჩვიდმეტე საუკუნის დამდეგიდამ: „აღარ იყო ხსენება არც თავადისა, არც მთავრისა, არც აზნაურისა; მათ მაგიერ შამოვიდა ფაშობა, ბეგობა და აღობა. ხალხი აწერეს; კაცის თავზე ხარჯი თვითო დრაჰკანი დაასწესეს, მეშვიდედი ყოვლის მიწის მოსავალზე და ხე-ხილოზე, ორ-ორი შაური ცხვარზე, აბაზი ხარზე და კამბეჩზე, ათი შაური ფაშის სასარგებლოდ. საეპისკოპოსოები და მონასტრები დასცეს და მათი ქონება და ავეჯეულობა დაიტაცეს. ეკკლესიების მაგიერ მეჩეთები აღმართეს. მაჭმადიანობას ძალით ავრცელებდნენ.“ ასლან მეფის დროზე (1705—1708) ვახუშტი სწერს: „ქრისტიანებად დარჩნენ მხოლოდ მცირედნი გლეხნი ჯავახეთში, ნაკლებნი შავშეთში, აჭარაში და არტაანში. გარდა ენისა ქართველობა გაუქმდა.“

*) შეცდომანი:

„ივერიის“ № 8-ში: გვერდი 12, სტრიქონი 11: „იოანე მთა-წმინდელის შედგენილს“ ამის მაგიერ უნდა იყოს: გიორგი მთაწმინდელისაგან შედგენილს

იქვე, სტრიქონი 17: „მეათე საუკ. ათანასესაგან.“ უნდა იყოს: მეთერთმეტე საუკ. ექვთიმესაგან.

„ივერიის“ № 10-ში.

გვერდი 8, სტრიქონი 11: Becherches უნდა იყოს Recherches, იქვე სტრიქონი 37: 1828 უნდა იყოს: 1833 წ.

გვერდი 9, სტრიქონი 28: 1834 წ. უნდა იყოს 1833 წ.

მაგრამ იმედი დაკარგული არ არის. აი რა შენიშნა ფრიად-ხსენებულმა დუბუა დე მონპერემ 1833 წ. ახალციხის მხარეზე: „La race indigène, la race autocthone, malgré les milliers d'annèes, est toujours gèorgienne". აქაური მოსახლეობა, აქაური მარეული ტომი, ათასობის წლით წინანდელზე, ყოველთვის ისევ ქართველი ტომია. ისინი ისევ მთლად დაუბრუნდებოდნენო მამა-პაპის სარწმუნოებას, რომ არ შიშობდნენო, რომ ოსმალნი ოდესმე ისევ დაიბრუნებენო ამ მხარეს და ხალხს ისევ მგლებურად მკაცრად მოეპყრობიანო." ეს აზრი დუბუასი უსაფუძვლო აზრი არ არის. ამ სტატიის ავტორი 1873 წელს თვითონ ყოფილა მესხეთში, მოუვლია ბათუმის მაზრა, მთელი კინტრიშისა და აჭარის ხეობები, გამოუკვლევია ამ მხარის წარსული და აწინდელი მდგომარეობა და შეუნიშნავს შემდეგი:

მთელი მესხეთი ჭანეთით, რომელიც ოსმალოს მფლობელობაშია, თავისის სივრცით ერთი-ორად უდრის იმერეთს ანუ ქუთაისის გუბერნიას. ის შეადგენს ჭოროხის ბასეინს თავისის ხეობებით: ამ ხეობებში მოდინარებენ მდინარენი—აჭარის-წყალი; ოლთის-წყალი, თორთომის-წყალი და სხვანი, რომელნიც აქა-იქ ერთვიან ჭოროხის-წყალს. ჭოროხის ბასეინსა და შავ-ზღვას შუა აღიმართება ჭანეთის მთა; ამ მთის კალთებში ზღვის პირად მკვიდრად სახლობენ ჭანები ანუ ლაზები. მთელი ის სივრცე, რომელსაც აქ ვიხსენიებთ, უჭირავს ქართველ ტომს. ეს ტომი მთელს კინტრიშისა და აჭარის ხეობებში ვიდრე იქამდე, სადაც ექვს ვერსზე ბათუმს იქით, ჭოროხი შავ-ზღვას ერთვის, წარმოგიდგენთ ნამდვილ გურულებს. ეს ადგილები მართლაც ძველ-ხანი გურულების სამფლობელოს შეადგენდნენ. აქ ყველა მოსახლენი წმინდა ქართველები არიან: აქ ვერ ნახავთ ვერც ურიას, ვერც სომეხს, ვერც ოსმალოს, ვერც ბერძენს. აქ სუფევს გურული ენა, თუმცა ამ ენას მცირედ შერეული აქვს ზოგიერთი ოსმალური სიტყვები. ჭოროხის ხეობის პირად მარჯვნივ და მარცხნივ, ქართულივე ენაა ხმარებაში. რამდენადაც ჭოროხის პირს ჰშორდებით, იმდენად ენა ანუ გარყვნილია, ანუ დამონავებულია ოსმალურის ენისაგან. საზოგადოდ კი ის ვრცელდება თვით ხომხეთის საზღვრამდე ასე რომ, როგორც ერთის ფრანცუზს ფონტანიეს (1830—1833 წ.) ადგილობრივ შეუნიშნავს, ბაიბურთში ქართული ენა თურმე ისმის. საზოგადოდ კი უნდა დავურთოთ აქ, რომ ჯერ კიდევ კარგად არ არის გამოკვლეული სად და სად ჭოროხის ხეობებში, გარდა აჭარისა, ნამდვილ რა მდგომარეობაშია ჩვენი ენა. ჭანური ენა, როგორათაც მეცნიერებისაგან დასკვნილია, ძალიან ცოტათი განსხვავდება მეგრულს, და შეადგენს ქართულის დედა-ენის შტოს. ზოგიერთნი, იმათ შორის თვით ვახუშტი, ჭანურის ენის საზღვრად უჩვენებენ რიზის პალოს ტრაპიზონის მახლობლად. ჩვენის აზრით ეს ზოგი-ერთნი სცდებიან. თვით ქრისტეს წინად ბერძნის მეცნიერნი, ჰეროდოტე (484—406 წ.), და სტრაბონი (იმავე 60 წელს) ჰმოწმობენ, რომ ჭანნი იყვნენ გავრცელებულნი ტრაპიზონის დასავლეთად თითქმის აწინდელს ყიზილ-ერმაკის მდინარემდე. ამის თანახმაა ქსენოფონტეც (445—355 წ.). იმის სიტყვით ტრაპიზონი მდებარებდა ჭანების ქვეყანაში. ქართლის ცხოვრებაც პირველ საუკუნეში ქრისტეს შემდეგ ტრაპიზონს ჭანების სოფლად მოიხსენიებს. ოსმალოს გეოგრაფი ჰაჯი-ხალფა მეჩვიდმეტე საუკუნეში მომატებულს ნაწილს ტრაპიზონის მცხოვრებისას, ჭანებად ჰხადის. თვით ის ფონტანიე, რომელიც ზემოდ მოგვყავს, გვიმოწმებს, რომ ჭანები სცხოვრობენო ტრაპიზონის დასავლეთად ჩიღდირის კედემდე; თუმცა, იმისავე სიტყვით, ბერძნული ენა შემორეულია ტრაპიზონის აღმოსავლეთად მაჩკამდე ქემერთან.

თუმცა რამდენიმე საუკუნოა გავლილი მას შემდეგ, რაც ოსმალოს ქართველნი ანუ მესხნი ჩვენგან მოშორებულნი არიან, მაგრამ აქამომდე ისინი თითქმის არ განსხვავდებიან ჩვენში არც ხასიათით, არც ზნეობით და ჩვეულებით და არც შინაურის ყოფა-ცხოვრებით. ამას ვმოწმობ მე თვითონ კინტრიშის ხეობაზე, აჭარაზე და ბათუმის გარეშემო ადგილებზე; ამასვე მიმტკიცებდნენ ადგილობრივნი მცხოვრებნი იმ მესხეთის ნაწილებზე, სადაც მე არა ვყოფილვარ. საკვირველია, რომ მთელს მესხეთში ისეა განთქმული თამარ მეფის სახელი, როგორც ჩვენში. იქ თამარს მიაწერენ ყოველს ძველს შენობას: ციხე-ხიმაგრეებს, მშვენიერ ხიდებს და ტაძრებს. ისიც საკვირველია, რომ ოსმალოს საქართველოში თამარს გარდა სხვა მეფეებზე ვერას გაიგონებთ. ამასთანავე ესეც უნდა შევნიშნოთ, რომ მთელს ოსმალოს საქართველოში მამა-პაპური ადსარება აქამომდე არ არის დავიწყებული. იქ ბევრნი მაჰმადიანობას მხოლოდ გარეგან აღიარებენ; გულში კი ისევ ჩვენს სარწმუნოებას იცავენ. ამის დასამტკიცებლად მრავალი საბუთი გვაქვს. სამარხვო დღეებს მკვლებურად ინახვენ, სადღესასწაულო დღეები ისევ იციან. როგორათაც სოფარში და ვარძიაში, აგრეთვე სხვა ადგილებში ქართველნი მუსულმანნი ყოველთვის იკრიბებიან და ლოცულობენ მსხვერპლის შეწირვით: სანთელ-საკმლით, ქათმით, ცხვრით და სხვ. ამბობენ, დიდ-ძალი ხალხი დაიარებაო 14 სეკტემბერს ხახულის ღვთისმშობლის მონასტერში, რომელიც მდებარეობს მოშორებით ჭოროხის ხეობაში და რომელიც ძველადვე სახელ-განთქმულია მთელს საქართველოში. ხა-

ხულის მღვთის მშობლის ხატი, როგორც ყველამ ვიცით, გელათში ასვენია და დავით-აღმაშენებლისაგან და თამარ მეფისაგან მდიდრადა არის შემკული. ხახულის მონასტერი აქამომდე მთლად არის და დაცულია იქაურის ქართველობისაგან. რომ აქა-იქ ჭოროხის ხეობაში ქართველების რიცხვში არიან ნამდვილნი ჩვენის აღსარების ქრისტიანენი, ეს უფრო ამისთვის არის დასაჯერებელი, რომ ფარხალის ხეობაში, იქ, სადაც მშვენიერი ხელოვნების ძველი მონასტერია ფარხალი, 1874 წელს უფ. უაზბეკმა ჰპოვა რამდენიმე ქართულთ მართმადიდებლობის სარწმუნოების მრევლი, რომელსაც თავისი საკუთარი მღვდელი თურმე ჰყავს გვარად ღუბრაძე. რომ მრავალნი უნდა იყვნენ აქამომდე ოსმალოს საქართველოში ქრისტიანენი, იდუმალ ანუ ცხადად აღმსარებელნი მამა-პაპურის სარწმუნოებისანი, ამაში ჩვენ ჩვენის მხრით არ ვიჭვნეულობთ. ასე რომ არ იყოს იქაური ძველი ტაძრები და მონასტრები სრულებით უნდა იყვნენ დარღვეულნი და გაუქმებულნი ოსმალთაგან ჰხსნასს ისინი დაუცავს ქრისტიანების მეცადინეობას. მართალია იქაური უმშვენიერესი ეკლესიები, აქამომდე მთლად არიან, მაგალითებრ: შავშეთში ტბეთი, ლივანაში ოპიზა, ანჩა, ბანა, იშხანი ოშხი, ხახული და ფარხალი. ამ ჟამად ჩვენა გვაქვს ხელად ფოტოგრაფიული სურათები ხახულისა, იშხანისა და ოშხისა. გარდა ამისა უაზბეკისაგან არის გადმოსატული ფარხალი, ტბეთი და ოპიზა. ჰხსნანს ამ ტაძრებს ოსმალები არც შეეხებიან და არც ეხებიან. იმათი ხელოვნება არის განვითარებული, უკეთესი მთელის საქართველოს ეკლესიების რიცხვში. ზოგიერთი იმათი წარწერათაგანი გადმოუღიათ სხვა და სხვა დროს აბიხს, ხანიკოვს, კოხს და სომხის ვარტაპეტს ნერსეს სარგისიანს. ეს წარწერანი ეკუთვნიან მე IX X-XI და XII საუკუნოებს. ნერსესს უმგზავრნია ჭოროხის ხეობაში 1843—1853 წელს და ის ამბობს, რომ აქ მრავალი ეკლესია ვნახეო ქართულის წარწერებით, მაგრამ საუბედუროდ ვერ შევიძლიო ამ წარწერების გადმოხატვა.

ამით ვასრულებთ ამ სტატიას; მაგრამ ვიდრე აქ კალამს დავდებდეთ არ შეგვიძლიან ჩვენი დიდი-ხნის მხურვალე წადილი არ წარმოვთქვათ. ისტორიული მოძრაობა ჩვენის დროისა ის არის, რომ ძველის დროიდამ გაცალკევებულნი ერთ გვარ-ტომის ნაწილნი ერთმანეთს უკავშირდებიან და უერთდებიან. ვიმედოვნებთ, რომ ახლანდელი ბრძოლა რუსეთისა და ოსმალოს შორის, ბრძოლა, რომელიც ჩვენმა ხელმწიფე-იმპერატორმა აუტეხა აჩაგრულთა დასახსნელად და მჩაგვრელთა დასათრგუნებლად" იმით დასრულდეს, რომ მესხნი და ჩვენ ერთი მეორეს ისევ შევუერთდეთ ძველებურად, ძმურად და,—ვისურვოთ ყველამ,—საუკუნოდ.

---

## საქართველოს მატიანე

— 19 აპრილს კახეთის თავად-აზნაურთა მხედრობას მოუყრია თავი სოფელს გელის-ციხეს. აქაც სხვა და სხვა ადგილებიდამ მოგროვებულა კარგა ბლომად ქალი და კაცი მხედრობის სანახავად და ზოგი გამოსასალმებლად. 24-ს აპრილს გამოუტანიათ თავად-აზნაურობის ბაირაღი და დიდის ხალხის თანადასწრებით პარაკლისი გადუხდიათ. ბლაღოჩინს მღვდელს სამსონ კოპაძეს წარმოუთქვამს სიტყვა და სხვათა შორის უთქვამს: „დღეს რუსეთს ებრძვის ის მტერი, რომელიც ჰსწოვდა საქართველოს სისხლსა. ეს ის მტერია, რომელიც ჰსთესავდა ღვარძლსა შვილისა და მამის შუა, ძმებისა და მეზობლების შუა, მეფეთა და ერთა შუა, ეს ის მტერია, რომლის ხელში დღესაც ჰკვნესის ძველი ერუშეთი, აჭარა თავისის ქართველობით".

თ. ზაქარია ანდრონიკაშვილსაც წარმოუთქვამს სხვათა შორის, რომ დღეს ჩვენ გავდივართ ოსმალეთთან საომრათაო. ჩვენი ძმები ქართველები დღესაც იმათ ხელში, იმათის კირთების ქვეშ იმყოფებიანო. დარწმუნებული ვარო, რომ ჩვენი ქართველი კაცი მათის დახსნისათვის თავს შეჰსწირავსო და არ დაიშურებს თავისის სისხლის დანთხევასაო.

ელეხის დედა-კაცობა თურმე ლოცვით და კურთხევით ისხენიებდა მხედრობასა, და დიდი ყოფა იყოვო ერთობ.

იმ დღეს თ. ჯანდიერიშვილს მხედრობისათვის სადილი გაუმართავს.

25-ს აპრილს მხედრობა წამოსულა ტფილისისაკენ. ცხენოსანთა ქალთა და კაცთა გამოცილებით მხედრობა ქოდალამდე. აქ თ. ზაქარია აბელისძეს ანდრონიკაშვილს დიდი სადილი გაუმართავს და მხედრობა მოუწვევია.

7 მაისს ტფილისში, მუშტაიდის ბაღს ზემოდ, დიდ-უბის მინდორზედ მისმა იმპერატორებითმა უმაღლესობამ გასინჯა იგი მხედრობა. დიდძალი ხალხი დაესწრო გასინჯვის დროს. ბოლოს მისმა უმაღლესობამ უბძანა მხედრობასა, რომ ქართველები ყოველთვის ერთგულნი ყოფილანო რუსეთისა. ვაჟკაცობას და ქველობას ქართველისას თქმა აღარ უნდაო, ეგ ყველამ იცისო. იმედი მაქვსო თქვენც ისეთის სახელით გამო-

ჩენთ თავსაო, როგორის სახელითაც გამოჩენილნი არიან თქვენი მამა-პაპანიო. ამის პასუხად დაიგრიალეს „ურა“ და ეს „ურა“ დიდ-ხანს არ შეწყვეტილა.

გუბერნიის მარშალმა მის იმპერატორებითის უმაღლესობას მოახსენა შემდეგი: „განმათავისუფლებელის— ხელმწიფის უწმინდაესმა გულმტკივეულებამ ჩაგრულთა ერთათვის, აღძრა გული საქართველოს თავად აზნაურობისა. ამ გულმტკივნეულებით გამოწვეულმა თავად-აზნაურობამ თვისნი შვილნი მოანდო თქვენს იმპერატორებითის უმაღლესობას. წარმართეთ იგინი, ხელმწიფეო, საომრად და მიანიჭეთ სახელოვანი შემთხვევა, რათა ამათაც სისხლი თვისი შესწირონ დიდებულს საქმეს, ტანჯულთა ერთა განთავისუფლებისას“.

9-ს მაისს ტფილისში, თ. ზაქარია ანდრონიკაშვილის სადგომის წინ მოედანზედ მხედრობას კვლავ პარაკლისი უხადეს. პარაკლისზედ კარგა ხალხი დაესწრო. სხვათა შორის ბევრნი იყვნენ ქართველთა დიდ-კაცის გვარისანი ქალნი, თუ კაცნი. თ. გრ. დიმ. ორბელიანმა მეტად მხურვალე და საგრძნობელი სიტყვა უთხრა მხედრობასა. ბევრმა ქალმა იტირა. გუბერნიის მარშალმა ივერიის ღვთის-მშობლის ხატი უძღვნა მხედრობასა, დალოცა და უთხრა, ივერიის ხატი გიძღოდეთო ამ სახელოვანს საქმეშიო. მხედრობის უფროსმა თ. იოსებ ჯორჯაძემ თ. ორბელიანს პასუხად უგო, რომ ქართველნი მამა-პაპის სახელს არ უღალატებენო. ქართველებმა იციან, რომ ნაძრახსა სიცოცხლესა სახელოვანი სიკვდილი სჯობნსო.

გუბერნიის მარშალმა მიიწვია მთელი მხედრობა იქვე მომზადებულს საუზმეზედ. თითქმის ყველა იქ დამსწრეებმა ქალმა თუ კაცმა მხედრობის სადღეგრძელო დალიეს. მცირეს ხანს შემდეგ გაიმართა ქართული სიმღერა და ერთმა მომღერალმა ეს ლექსი დაიძახა:

„ვისაც მოუკლავს, ის მოჰკლავს ნადირსა შავის ტყისასა,
„ვინც დახვდა, ისიც დახვდება გულ-და-გულ რაზმსა მტრისასა.“

ქალებმა აქვე მოაგროვეს ფულები, რომ დროშა შეჰკერონ და უძღვნან მხედრობასა. დროშაზედ დაწერილი იქნება: „დედანი და დანი შვილთა და ძმათა. თქვენთან არს ღმერთი და სახელი მამა-პაპათა.“

— ქუთაისიდამ იწერებიან: „რა მშვენიერი დილა იცოდა ჩვენში მშვიდობიანობის დროს! ნაზად ამწვანებული და აყვავებული იყო არე-მარე, თითქო ბუნებამ ათასნაირის ფერადით ნაკერი მშვენიერი მწვანე ხავერდი გადააფარა დედამიწის ზურგსაო. თან ისმოდა ფრინველთა გალობა და ჭიკჭიკი. განუშორდებოდი ხოლმე ამ ჩვენს მტვრიანს, შარიანს, გესლიანს ცხოვრებასა და მიეცემოდი დამშვიდებულის ბუნების მშვენიერებასა!....

„დღეს კი სხვა ნაირი სურათი წარმოგვიდგება. დილა ისევ მშვენიერია! მაგრამ ეს მშვენიერი ადგილები გაჯქილია ცხენის ჩლიქით. უზრუნველი გალობა ფრინველთა მიმწყდარია. იმ ხეთა ქვეშ, რომელთ ზედაც ფრინველნი შემოსხდებოდნენ ხოლმე, ეხლა დაბანაკებულია ახლად-გამოსული ყმაწვილ-კაცობა ჩვენის თავად-აზნაურობისა და გამზადებულია საომრად. მათის სალაშქრო სიმღერებითა არე-მარე დაყრუებულია. დიდის გულის ცემით და აღტაცებით მოელიან იმ დროს, როდესაც გავლენ სამშობლოს დასაცველად. ეხლა მე ამათი მაყურებელი ვარ. ვინ იცის? ამათმა ფეხის ხმამ იქნება მეც ამიყოლიოს. როგორადაც ამათ მაყურებელს გული მერჩის.“

— ჩვენ შევიტყეთ, რომ ტფილისის სასულიერო სასწავლებელში ქართულის ენის მასწავლებელი ქართულის ენისათვის დადებულ დროსაც რუსულს სამღთო ისტორიას და სხვა საგნებს ანდომებსო. მასწავლებელი იმით ამართლებს ამ თავის ქცევას, რომ შეგირდებმა ვითომც ქართული უკვე კარგად იციანო. საწყალო ქართულო ენავ! ნუ თუ კიდევ დიდხანს იქნები ბედისაგან სასაცილოდ აგდებული!...

— საგარეჯოდამ იწერებიან: „გაცნობებთ ერთს საშინელს უბედურებას, რომელიც მოხდა საგარეჯოში 20-ს აპრილს. ერთი პატარა ხუთის წლის ქალი კაბას იშრობდა ბუხართან. დედა მეზობლებში ყოფილიყო. წაეკიდა საწყალს ბავშვს უეცრად ცეცხლი; გამოვარდა გარედ, იწივლა, იკივლა და ვიდრე საშველი იყო ვერვის თურმე გაეგონა ბოლოს გაეგოთ, მაგრამ ვიდრე მიეშველებოდნენ, ტანისამოსი მთლად შემოსწოდა ტანზედ და თვითონაც საწყალი გარუჯული იყო შავათ, ქონივით სდიოდა თურმე ტანიდან. ერთის წუთის შემდეგ სულიც განუტევია უბედურს.“

— ჩვენ შევიტყეთ, რომ ხოვლის სასწავლებელში ორმოცზედ მეტი მოწაფენი არიან. ამათში შვიდამდე პატარა გლეხის ქალები ურევია და გლეხები თურმე სრულებით არ თაკილობენ, რომ ქალ-ვაჟნი ერთად სწავლობენ. ამასთან ისიც შევიტყეთ, რომ ხოვლის ახლო-მახლო სოფლების გლეხებსაც სწავლის დიდი სურვილი აქვთ. ასე გასინჯეთ, იწერებიან,—რომ ხოვლის მასწავლებელს მოსვენებას თურმე არ აძლევენ, ჩვენს შვილებსაც ასწავლეო. მაგრამ, საუბედუროდ, ხოვლის სასწავლებლის სახლი ისე პატარაა, რომ მასწავლებელს ნებას არ აძლევს მათი კეთილი სურვილი აასრულოს. უნდა იმედი ვიქონიოთ, რომ მაზრის უფროსი ამ ყველასათვის სასიამოვნო გარემოებას ყურადღებას მიაქცევს და ურჩევს მამასახლისებს, რომ სასწავლებლის დაარსების თაოსნობა გასწიონ.

## ორიოდე სიტყვა ხოვლის სასწავლებელზედ

(ივერიის კორრესპონდენცია)

1-ს მაისს მამასახლისმა ჩემის თხოვნით შეკრიბა ხალხი. ხალხი ცოტ-ცოტაობით მოგროვდა და ერთი ასირებული ყაყანი გაიმართა. ერთი ამბობდა: „რაკი შკოლა დაარსდა აქ, ჩვენ სოფელში, ისევ აქ უნდა დარჩეს, მაგის გაუქმება აღარ შეიძლება, ეს ჩვენგან დიდი მოუხსნათობა იქნებაო და დიდად შესარცხვენიო". მეორე ამბობდა: „რას ამბობ კაცო? შენ შვილი შკოლაში ლამაზად გეზრდება და იმიტომ ლაპარაკობ მაგებს. მე კი არა მკითხავ, ლამის სული ამომივიდეს ამდენის მუშაობით. სადა მცალიან შკოლის აშენებისათვის,—არც შკოლა მინდა და არც შვილი მყავს იქ გასაზრდელი." „აგრე არ შეიძლება ჩემო ბერო, უთხრა ერთმა უფრო გონიერმა გლეხმა სოლომ, ჩვენ მარტო ჩვენთვის კი არ უნდა ვცდილობდეთ, ჩვენი მომავლებისთვისაც ცოტა-ოდნათ მაინც უნდა ვეცადნოთ. შენ აგისირნია შვილი არ მყავსო, სუყველანი ერთმანეთისა შვილებიცა ვართ, ძმებიცა და მამებიცა." სოლოს მეც ჩავერიე და მაღლის ხმით დავიძახე: „ხალხნო, ყველას გსურთ თუ არა, რომ თქვენ სოფელში ის შკოლა, რომელიც ეხლაც იმყოფება, დარჩეს აქ სამუდამოდ თქვენის შვილების სასწავლებლად და თქვენ სანუგეშოდ? თუ გსურთ, მიჰსცემთ ჯეროვანს შემწეობას რასმეს თუ არა? ახალი შენობა შკოლისათვის უეჭველად ამ ორ თვეში უნდა აშენდეს, რადგანაც ის სახლი, რომელშიაც ეხლა შკოლა იმყოფება, ჯერედ არის ცუდი თქვენის შვილებისთვის და მეორედ გვაცლევინებენ კიდეცა." აქ მე სიტყვა აღარ გამათავებინეს და ერთ ხმად შემომძახეს: ჩვენ აქ შკოლის არსება გვსურს კიდეცა და ყველაფრით შემწეობასაც მივცემთ. ჩვენ მაგ სამარცხვინოს საქმეს არ ვიზამთ, რომ შკოლა მოგვეშალოს და ან რაღა ხალხნი უნდა გამოვჩნდეთ იმათ თვალში, რომლებიც ჩვენთვის ზრუნვენ." მაშინ მე უთხარი: მაშ თუ ეგრე გულ-ფიცხად ეკიდებით ამ თქვენთვის უსაჭიროეს საქმეს, ამოირჩიეთ თქვენ სამიოდ ოთხი კაცი და მიანდეთ მათ საზოგადოდ ყოველივე საქმე შკოლისა. მაშინვე იმათ ერთ ხმად ამოირჩიეს ოთხი კაცი მზრუნველად. ეს მზრუნველნი არიან: სოლო ჭალალალი, სოლომონ მერებაშვილი, ბერო კოშაძე და სვიმონა ჭალალი. ამათ გამოუცხადა ხალხმა, რომ როგორც სურდეთ ისე იმოქმედონ შკოლის შესახებ საქმეებში. თუმცა ზოგიერთა გლეხები კიდევ წინააღმდეგს ლაპარაკობდნენ, მაგრამ როცა თვითონ თავის მოძმეებმა უთვალისფერი დაწვრილებით ჩააგონეს, სიხარულით მოაწერეს ხელი იმ განაჩენს, რომელიც ამის თაობაზე შედგა და რომელიც უ. მაზრის უფროსს წარუდგინეს დასამტკიცებლად.

საჭიროდ ვრაცხ მოვიხსენიოთ, რომ დიდი და გულმხურვალე მონაწილეობა მიიღეს ამ ურიცხობაში თ. ილია ალექსანდრეს ძემ ჯავახოვმა, გიგო იოსების ძემ ჯავახოვმა, დავით ქაიხოსროსძემ ჯავახოვმა და გლეხმა სოლო ჭალალმა. ესენი გაცხარებით ხან ერთ გლეხების ჯგუფს უმტკიცებდნენ შკოლის საჭიროებას სოფელში, ხან მეორეს. ამის თვის ამ პირთ გულითადს და ღრმა პატივისცემას ვუძღვნით, როგორც ხალხის კეთილდღეობის მოსურნეებს. არც ამ სოფლის მღვდელმა დაიშურა თავისი სიტყვა და მეცადინეობა ამ კეთილის საქმისათვის.

მასწავლებელი სოფლის შკოლისა ი. ც.

---

## ომის ამბები.

რაც წარსულს კვირას ამბავი მოვიდა ომიანობაზედ, რასაკვირველია ყველაზე უფრო შესანიშნავი ქალაქის არდაგანის აღებაა. აი რა დეპეშა მოვიდა ახალქალაქიდგან 6 მაისს: „არდაგანი, მისის წინა სიმაგრეებით, სამოცი ზარბაზნით, არტილლერიის მასალით და აგრეთვე ოსმალოს თოთხმეტი ბატალიონის ლაგერით და ქალაქით მის იმპერატორის უმაღლესობის ფეხთაქვეშ დაემხო. არის. 5 მაისს 3 საათიდამ 6 საათამდე ზარბაზნებს ესროდნენ არდაგანს და დაანგრიეს ციხის სიმაგრეები. საღამოს 6 საათზედ ერევნისა, ტფილისისა და ბაქოს პოლკები და საპერები იერიშით მიადგნენ ციხეს. მტერი ვერ გაუმაგრდა და გაიქცა. ოსმალოს მხრით ბევრი დახოცილა.

ტყვეთ ერთი ფაშაც დარჩენიათ. არდაგანი აუღიათ ღენერალ გეიმანის წინამძღოლობით.

ეს ამბავი რომ მოვიდა იმავე დილას ჩვენ ქალაქში დიდი ზარბაზნის სროლა გაიმართა. მერე ათ საათზე სიონში არქიელმა პარაკლისი გადიხადა. დიდი ზარალი მოსვლია ოსმალოს არდაგნის აღებაზე რუსის მიერ. თითქმის ასი ზარბაზანი დარჩენიათ ჩვენებს. არდაგნის მცხოვრებლებს უთქვამთ, რომ ოსმალოს მხრით სამიათასი კაცი დაილუპაო (მოკლული და დაჭრილი). რა ზარალი მოუვიდა ჩვენ ჯარს ჯერ ცნობაში არ არის მოყვანილი; ჯერ-ჯერობით კი იციან, რომ დაჭრილი და დახოცილი ერთად არის ცხრა აფიცერი და 385 სალდათი. მეორე დეპეშა ამბობს, რომ ეს რიცხვი ხუთასამდი ადისო. გარდა ამისა ოთხი აფიცერი და 180-მდე სალდათი დაჭრილა. არდაგნის აღების შემდეგ რუსების მიერ დაჭერილ ადგილას ჩვენებური მმართველობა დაუწესებიათ. ეს ადგილი მთლად რამდენიმე მაზრად დაუყვიათ და უფროსად ღენერალი პოპკო დაუნიშნავთ. მაზრის უფროსებად შემდეგი პირები განუწესებიათ: მესხიე-

გი, მეფისოვი, სულხანოვი, ყარაბეგოვი, შალუბათოვი. დანარჩენნი ადგილობრივი მცხოვრებთაგანნი არიან. სასამართლო იგივე რჩება, როგორიც უწინ იყო ამ ქვეყანაში

— 4 მაისს, ღენერალს ტერგუკასოვს სურფ-ოჰანესიდგან თავისის ჯარის ერთი ნაწილი უკან ბაიაზეთს გამოუგზავნია, რადგანაც შეუტყვია, რომ მტერი ბაიაზეთისაკენ იწევსო. ეს ჯარი ღენერალ ამილახვარის წინამძღოლობით, იმავე დღეს ბაიაზეთში მისულა. ოსმალოს ჯარი კი, რომელიც ბაიაზეთისკენ მიდიოდა— ვანისკენ დაბრუნებულა.

— 4 მაისს რუსის ჯარს ყარსი უთვალიერებია და მტერს შეჰკვედრია ცხარი ბრძოლა გამართულა, რომელშიაც მეტადრე დაღისტანის ჯარს თავი გამოუჩენია. ამ ბრძოლაში 64 ოსმალო მოუკლავთ, 2 ტყვეთ დარჩენიათ. ბევრი იარაღი და ცხენი წაურთმევიათ. ჩვენის მხრით ერთი მილიციის აფიცერი და ოცი ცხენოსანი ჯარის კაცი მოუკლავთ; დაჭრილა: ხუთი აფიცერი მილიციისა და 54 ჯარის კაცი. გარდა ამისა დაჭრილა თ. ილია ჩოლოყაშვილი.

— ამბობენ რუსის ჯარი დუნაიზე გადასულა, გადუვლია ბრაილოვის ახლოს და დობრუჯაში ომი აუტეხიაო.

ჯერ არავითარი შესანიშნავი საქმე არ მომხდარა დუნაიზე. ამბობენ რომ რუსები თოთხმეტ ალაგას აპირებენ დუნაიზედ გადასვლასაო.

---

## საპოლიტიკო მიმოხილვა

**ინგლისი** — მართლა და ცხარი ბაასი გაიმართა ინგლისის პალატში გლადსტონის წინადადების შესახებ.*) თუმცა ეს წინადადება სხვა პარლამენტის წევრთა ძეოხებით ცოტად შეიცვალა, მაგრამ მისი უმთავრესი ხასიათი მაინც კიდევ ვერაფრად მოსაწონი იყო მთავრობის პოლიტიკისათვის ძალიან მწარე სიტყვა მიჰმართა გლადსტონმა მთავრობას: „აქამომდე ჩვენის მთავრობის მოღვაწეობა მხოლოდ იმაზედ იყო მიმართული, რომ ოსმალეთი დავლუპოთო, სთქვა გლადსტონმა: ამ გვარი ქცევა ჩვენის მთავრობისა აუცილებლად ომს გვიქადისო, და მერე რა ომს? ეს ომი ოსმალეთის დასაცველად კი არ იქნება ატეხილი, არამედ მას სხვა ისეთი მიზეზი გამოუჩნდება, რომელსაც ბრიტანიის სარგებლობად ჩაგვათვლევინებენ. (ისმინეთ, ისმინეთ) ერთი მითხარით, რას ეძახით თქვენ ბრიტანიის სარგებლობას? რა განზრახვით იყო თქმული ეს ფრაზა, რომელიც ისე ჩვილია, რომ საითაც გნებავთ იქით გაიწევა? დააკვირდით ინგლისის სახელმწიფოს მდებარეობას; შეხედეთ რამსიშორეზედ გადაწვდინეთ ხელი ამ პატარა კუნძულიდამ. მთელ ცისძირეთში არ მოიძებნება იმისთანა ადგილი, სადაც ჩვენს ვაჭრობას ფეხი არ შეედგას. ახლა მიბრძანეთ, განა შეიძლება დედა-მიწის ზურგზედ ორს სახელმწიფოს ლაპარაკი რამ მოუვიდეს სადმე და ბრიტანიის სარგებლობას ასე თუ ისე არ შეეხოს? განა შეიძლება სადმე ომი ასტყდეს და ჩვენ მიზეზი არ მოგვეცეს ომში გარევისა იმ საბუთით, რომ ჩვენი სარგებლობა ამას ითხოვსო? ამისთანა მდგომარეობაში ჩვენ მეტადრე ინდოეთმა ჩაგვაგდო. ჩვენ წავედით დედა-მიწის მეორე ნაპირას როგორც მოვაჭრეთა საზოგადოება, დავიჭირეთ ინდოეთი და დღეს იქ ჩვენ მფლობელობის ქვეშ არის სივრცე, რომელზედაც სცხოვრებს ორასი მილიონი სული, და კიდევ ვიძახით რომ იმ სახელმწიფოთა, რომელნიც ინგლისისა და აღმოსავლეთის ქვეყნების შორის გზაზედ მდებარეობენო, ჩვენდა დაუკითხავად ფეხიც არ უნდა გაჰსძრასონ. ერთს სახელმწიფოს ვეუბნებით: ხელი არ გაანძრიო ბათუმში, შავ ზღვაზე, რადგანაც ბათუმი და არზრუმი ერთ დროში გზად შეიქნებიან აღმოსავლეთის ქვეყნებისაკენ. მეორეს ვეუბნებით: ხელს ნუ გაანძრევ სირიაში, ბაღდადში, რადგანაც ეფრატის მინდორნი შესაძლებელია ადრე თუ გვიან უკეთეს გზად გახდეს აღმოსავლეთის ქვეყნისაკენო. სუეცის არხი საყოველთაო სარგებლობისათვის იყო გაჭრილი, მაგრამ ჩვენი პოლიტიკოსები ამბობენ, რომ ჩვენ აქ უფრო უპირატესი უფლება გვაქვსო ვიდრე სხვა რომელიმე სახელმწიფოს და ქვეყანასაო“.

„არა ვითარი შიში არ უნდა ვიქონიოთ, რომ რუსეთის მოქმედება რაიმე ვნებას მოუტანს ინგლისის სარგებლობასა. რუსეთი ისე უგუნური არ არის, რომ ავნოს ინგლისსა. თუ ამბობთ, რომ რუსეთი თავის საკუთარს სარგებლობას ეძებს და მისს მოქმედებას კაცი ვერ ენდობაო, მაშ მარტო რუსეთს რაღად დაუთმეთ უმთავრესის საქმის აღსრულება (სლავიანების განთავისუფლება)? მე იმედი მქონდა, რომ ჩვენ საერთოდ ვეცდებოდით თვით მმართველობა დაგვედგინა ამ ხსენებულ პროვინციებში, ისე, რომ უცხო მფლობელობის ქვეშ იგინი არ ჩაგვეყარა.“ გარდა ამისა გლადსტონმა ჰსთქვა, რომ თავის პოლიტიკის გასამართლებლად ინგლისს მოჰყავს მაგალითად ის ბოროტებანი, რომელიც რუსეთმა პოლშაში მოახდინა. ახლა, რატომ თქვენ თქვენს მოქმედებას კი არა ჰსინჯავთო? ინგლისს რაღად ავიწყდება ის უდიერი, უმსგავსო მოქმედება, რომლის ალითაც მან მოსპო ინდოეთის აჯანყება. განა მარტო ეს არის? კიდევ

---

*) „ივერია“ № 10.

ბევრი სხვა ბროშიურებს მოსდევს ინგლისის მთავრობის მოქ-მედებასა. „უმთავრესად იმას ვაცქერი მთავრობას," სთქვა გლადსტონმა, რომ იგი ყოველთვის უგულოდ უადვილებდა რუსეთს მის საკუთარის სარგებლობის დევნასა და მის გავლენის გაძლიერებასა. განა საშიში არ არის, ქრისტიანეთა ის აზრი იქონიონ, რომ მათ რუსეთის გარდა სხვა შემწე არავინ არა ჰყავსთო". „ოსმალეთის აჯან-ყებულთა საქმე ყოველ იმ საქმეზე უწმინდესია, რომელსაც კი ოდესმე აუძლევებია ადამიანის გული, რომელსაც კი ოდესმე ვაჟკაცობისათვის ხმალი ამოუღებინებია. შეგვიძლიან განა ჩვენ ვსთქვათ, რომ ამ საქმეში ჩვენ ჩვენი მოვალეობა ავასრულეთ? იყო დრო, როდესაც თავისუფლების იმედი ინგლისზედ იყო მიქცეული. ახლაც კი რომ ოდესმე კეთილშობილს მიდრეკილებას ფრთას შეუსხავს და უმაღლესი რამ გრძნობა კაცის გულში დაბრუნდა, ჩაგრულნი ინგლისისკენ მიჰმართავდნენ ხოლმე თავის ვედრებას. ინგლისის ხალხი, რომელმაც აიღო უმაღლესი შროშა თავისუფლებისა, ყოველთვის გამზადებული იყო სხვების საშველად. რა დასკვნა გამოდის აქედგან? რომელი პოლიტიკაა უმჯობესი? ეს მაღალი ზნეობითი პოლიტიკა, თუ ის, რომელიც ინგლისის ინტერესზედ არის მომართული? თქვენ გეუბნებიან, რომ ის ხალხი, რომელიც უკანასკნელად დაიპყრობს იმ ქვეყანას (ეს ოსმალეთზეა თქმული), იგი აღადგენს მის ბედსაო. აი ამაზედ უნდა მიაქციოთ ყურადღება. ერთმა ნაწილმა ამ ქვეყნისამ -ჰერცეგოვინელთა და ბოსნიელთა-ისურვა დაიბრუნოს რაც წაართვა. მეორე ნაწილი დგას ჩერნოგორიის მთაზე და გამზადებულია ხელმეორედ დასცეს ოსმალებს და დაუბრუნოს ამ ქვეყნებს თავისუფლება და მშვიდობიანობა. გარდა ამისა, კიდევ ერთი ნაწილი-ხუთი მილიონი ბოლგარიელები-ტანჯულნი, მიწასთან გასწორებულნი თქვენ გაწვდიდათ ხელს, თქვენ გემუდარებოდათ შეწევნას და მფარველობასა. იგინი გეუბნებოდნენ თქვენ, რომ ჩვენ არ გვინდაო არა რაიმე დაკავშირება არც რუსეთთან და არც სხვა სახელმწიფოსთანაო. იგინი მხოლოდ ნატრულობენ განთავისუფლებას შეურაცხ-ყოფისა და კართუბისაგან. ამ კართუბისაგან, ამ მწუხარებისაგან მათის დახსნილს დიდი სახელი მოელოდა და ეხლაც არ არის გვიან, რომ ეს სახელი დაიგდოს კაცმა. იმედი მაქვს, რომ ჩვენ სამინისტროში იმისთანა კაცები მოიპოვებიან, რომელნიც ეცდებიან ამ სახელის მოგებისათვის. ვიმეორებ, ეხლაც არ არის გვიან რომ ეს სახელი მოვიპოვოთ, იგი საკმაოდ დააჯილდოებს მას, ვინც ეცდება მის მოპოვებას."

აქედგან ცხადია, რომ გლადსტონს აღმოსავლეთის საქმეში რუსეთის და ინგლისის შორის დაახლოვება უნდა, ე. ი. ინგლისის ეხლანდელის პოლიტიკის სრულიად გამოცვლა. გამოიცვლება თუ არა ეს პოლიტიკა, ამისი ჯერ არავინ იცის, მაგრამ ამ გლადსტონის სიტყვას ის შედეგი კი ჰქონდა, რომ მისა და მის მეგობრებთა შორის უთანხმოება ცოტად თუ ბევრად შესწყვიტა.

—

**საფრანგეთი.** ლებლონმა რომ გაათავა თავისი სიტყვა, *) წამოდგა სამინისტროს პრეზიდენტი, ჟიულ-სიმონი და სთქვა შემდეგი: „მე, როგორათაც ლებლონს, სასეში არ მაქვს კათოლიკის სარწმუნოების მტრობა. მე ამაზედ კიდევ მეტს ვიტყვი: მე ვერ მოვითმენ, რომ ჰსდევნონ იმ სარწმუნოებას, რომლისაც მე სრული პატივი და სიყვარული მაქვს. მთლად კათოლიკის სამღვდელოება კი არა, მისი ერთი ნაწილია მხოლოდ ახალის დროის საზოგადოების მეურვეობის ღირსი.

„მართალია, იყო დრო, როდესაც ეკკლესიას დიდი ძალა და უფლება ჰქონდა, მაგრამ მაინც მის უფლებას მაშინ საზღვარი ედო. მას ნება არა ჰქონდა დაეპყრო ის უფლებანი, რომელნიც მარტო სახელმწიფოს ეკუთვნიან. არც ეხლა აქვს ეგ უფლება, მაგრამ ეკკლესია თავისთავად იჩემებს. მამასადამე ჩვენ (ე. ი. მთავრობა, რადგანაც ჟიულ-სიმონი, როგორც მინისტრი, მთავრობის წარმომადგენელია და მთავრობის სახელით ლაპარაკობს) თვით ეკკლესია უნდა დავაყენოთ იმ საერო კანონის ქვეშ, რომელსაც ემორჩილება ყოველი მამულისშვილი. ამისათვის მტკიცე რამ საშუალება უნდა ვიხმაროთ. შესახებ ეკკლესიის მოძღვრებისა, რომელიც ლებლონმა წარმოსთქვა, უნდა მოგახსენოთ, რომ მე იმისავით დიდ თავისუფლებას ვერ გამოვიჩენ. ორგვარი მოძღვრება არის ეკკლესიის სახელით: ერთი ის, რომელიც შეეხება და გონებას ახშობს; მეორე ის, რომელიც უგულად საქმები და პატივ-საცემია. კათოლიკების რაზმიც ამის მიხედვით ორგვარია: ერთი ემორჩილება კანონს და კანონის ძალით სუფევს, მეორე-იგია, რომელიც ადგენს რაღაც კომიტეტებს და სახელმწიფოს მორჩილებისას არას ფიქრობს. ამათ რასაკვირველია, მთავრობა არავითარ უფლებას ვერ მიჰსცემს და სასტიკად უნდა მოექცეს, რადგანაც ეგენი შეადგენენ სახელმწიფოს სახელმწიფოში." ბოლოს ჟიულ-სიმონმა სთქვა: „ის დასამარხისი ყოფა-ქცევა, რომლის მიზეზითაც გაიმართა ეს ბაასი, ეკუთვნის მხოლოდ ეკკლესიის მცირე ნაწილს, და სამღვდელოთა უმრავლესობა თვითონა ჰსწუხს ამაზედ."

„მაშ თუ ჰსწუხს, რატომ არ აცხადებს თავის უკმაყოფილებასო", მისძახეს რესპუბლიკელებმა, რომელთაც, რასაკვირველია, არ მოეწონათ ჟიულსიმონის სიტყვა, რომე-

---

*) „ივერია" № 10.

ლიც მეტად ცივად ექნენათ და რომელიც არაფერს გადაწყვეტილებას არა ჰსდებდა.

დეპუტატთა პალატის წევრთა უმრავლესობა რესპუბლიკელებს ეკუთვნის, და იმავე დღეს რომ დათქმული გაბმულიყო კლერიკალებზედ ბაასი, უეჭველია პალატა თავის უთანხმოებას და სამდურავს გამოუცხადებდა სამინისტროს, და ამის გამო სამინისტრო სამსახურიდამ გამოვიდოდა. რესპუბლიკელებმა იგრძნეს ესა და გარდასწყვიტეს, რომ ბაასი მეორე დღისათვის გადიდოს. მეორე დღეს გამოჩენილმა და გავლენიანმა რესპუბლიკელმა გამბეტამ წარმოსთქვა დიდად შესანიშნავი სიტყვა, რომელსაც ჩვენ შემოკლებით გადმოვიღებთ.

გამბეტა აცხადებს, რომ მისი სიტყვის საგანი სარწმუნოება არ არის. „სარწმუნოებაზედ კი არა ვლაპარაკობთ, ჰსთქვა მან: არამედ იმ საპოლიტიკო დასზედ, რომელიც სარწმუნოების ნიღაბს იფარებს და ამით აცდენს ხალხს. ეს დასი სარწმუნოებას ხელში ისე ათამაშებს, როგორც იარაღს სახელმწიფოის სიმაგრის დასარღვევად. აი საქმე რაში მდგომარეობს და აი რა უნდა ავიაროთ გულწრფელად. ყოველის მხრიდგან მოესივნენ ჩვენ ქვეყანას სხვა და სხვა დასები, აიკლეს იგი და თავს სარწმუნოების სახელით იმართლებენ. ამ რიგი კაცები სხედან სენატში და ცდილობენ კლერიკალებისკენ მიხარონ მთავრობა. ამათი ნაერთვის ის პეტიციაც *), რომელსაც ეხლა ატარებენ ხელის მოსაწერად, თუმცა ეგ მთავრობისგან აკრძალულია.

„თუ პაპი თავის ბულლას საფრანგეთში აცხადებს მთავრობის დაუკითხავად, თუ ეპისკოპოსები მერეს უგზავნიან კანონით აღკრძალულ წერილებს, ამის მიზეზი მთავრობის უძლურებაა, რომელიც დაჰსჩემდა მას ამ შვიდის წლის განმავლობაში სხვა და სხვა შეცდომების გამო. კლერიკალური სული ისე გაჰსჯდომია მმართველთა კაცთა, რომ კლერიკალებს შეუძლიანთ რაც უნდა ის ჩაიდინონ და მთავრობის მოხელე კაცთა შორის ამაში სრული შემწეობა მოიპოვონ. აი საიდგან მოგველის ნამდვილი და მტკიცე შიში. საქმე იქამდისინ მივიდა, რომ ეხლა ვკითხულობთ, ნუ თუ სახელმწიფო ეკკლესიის მსახურიაო?

„აი ამ რიგად მთავრობის შემწეობით დაიმედებულნი, კლერიკალები ცდილობენ ჩაიგდონ ხელში თვით ხალხიცა, რომელსაც აჯერებენ რომ მისი კეთილ-მდგომარეობა მათზედ არის დამოკიდებული. დრო არის ვისმაროთ, საზოგადოების დაცვისათვის, ყოველი ღონისძიება და ეკკლესია იმავე მდგომარეობაში ვამყოფოთ, რომელიც მისთვის სახელმწიფოს მიუჩენია. ეს ითხოვს არამც თუ მარტო საპოლიტიკო სარგებლობა, არამედ სამშობლოს მოყვარეობაცა. კლერიკალებს ჰსურთ საფრანგეთი იტალიის რევოლიუციას გადაამტერონ და ომი ასტეხინონ იმ ხალხთან (ე. ი. იტალიელებთან), რომელმაც დაიცვა თავისი კანონიერი მფლობელობა; მათ ჰსურთ შეუმცირონ იტალიისადმი თანაგრძნობა იმ მეომრებს, რომელთაც სახელი გაითქვეს მაჯენტის ომში *. შეუძლებელია, რომ კლერიკალებს ნება მიეცეთ გარეშე საქმეთა მინისტრს იმ რიგად მოსთხოვონ პასუხი თითქო პაპის ბრძანებას უცხადებენო; შეუძლებელია, რომ ეპისკოპოსებმა, (რომელნიც მთავრობის მოხელენი არიან) საქვეყნოდ იქადაგონ იმ ომისათვის (იტალიასთან), რომელიც ყოვლად სავნო საფრანგეთისათვის. საჭიროა კლერიკალების ხელიდამ სახელმწიფო დავიხსნათ.

„ორში ერთი: ან თქვენ ფრანცუელნი არა ხართ და თუ ხართ კანონს უნდა დაუმორჩილდეთ."

დიდად აღძრა პალატა გამბეტის სიტყვამ და დიდად ააღელვა.

გამბეტას სიტყვის შემდეგ, რესპუბლიკის დასის წევრთა ეს წინადადება შეიტანეს პარლამენტში მისაღებად: პალატი შეუდგება სხვა რიგში ჩავარდნილის საქმის გარჩევას და ამასთანავე აცხადებს, რომ რადგანაც კლერიკალების მოქმედებას შიში და განსაცდელი მოსდევს სახელმწიფოის შინაგანის და გარეგანის მშვიდობიანობისთვის, ამიტომ პალატი იწვევს მთავრობას მოიხმაროს ყოველი კანონიერი საშუალება, რომ ეს სამშობლოს წინააღმდეგი მოძრაობა მოსპოს. მონარხიელებმა ამ საგანზედ სხვა წინადადება წარუდგინეს უფრო ნაკლებ საწყენი კლერიკალებისათვის. კარგა ხანი იბაასეს მასზედ, თუ რომელი წინადადება მივიღოთო და ბოლოს საქმე კენჭზედ მივარდა. ჟულსიმონმა თანაგრძნობა გამოაცხადა პირველის წინადადებისადმი.

პალატამ რესპუბლიკელთა წინადადება მიიღო პალატის გადაწყვეტილებად. რესპუბლიკის წინადადებას მოუვიდა 361 თეთრი კენჭი, მონარხიელებისას კი 121.

---

*) ამას წინედ კლერიკალებმა ქაღალდი შეადგინეს, სადაც მოხსენებული იყო შესაწუხარი მდგომარეობა პაპისა და ითხოვდნენ მთავრობისაგან, რომ მან მიიღოს მონაწილეობა პაპის დასახსნელად. ამ ქაღალდს ატარებდნენ და ხელის მომწერლებს აგროვებდნენ. ბავშვებსაც კი აწერინებდნენ ხელს, ოღონდ როგორმე ხელის მომწერი ბლომად შეაგროვონო.

*) მაჯენტა ლომბარდიის ქალაქია იტალიაში. აქ 1859 წ. მაკ-მაგონმა გაიმარჯვა ავსტრიელებზედ და ნაპოლეონმა ამისათვის ჰერცოგობა მიჰსცა. მას აქედ მაკ-მაგონი იწოდება მაჯენტის ჰერცოგად. გამბეტამ, რასაკვირველია, სიტყვები მაკ-მაგონს გადაჰკრა.

ამით ერთხელ კიდევ დამტკიცდა, რომ საფრანგეთის მთავრობა რესპუბლიკის დასის აზრს უნდა აჰყვეს, რადგანაც იგი პალატის უმრავლესობას შეადგენს. ჯერ მარტო ის გარემოება რომ ჟიულსიმონი რესპუბლიკელთა წინადებას მიუდგა ამტკიცებს, რომ რესპუბლიკა თან და თან უფრო ფეხს იმაგრებს საფრანგეთში. ჟიულსიმონი იმისთანა კაცი არ არის, რომ ამ შემთხვევაში მარტო იდეას აჰყოლოდა და თავისი პირადი სარგებლობა დავიწყებისათვის მიეცა. ავია ჟიულ-სიმონი თუ კარგი, იმოდენა გონიერება კი აქვს, რომ რესპუბლიკას ცხადი წინააღმდეგობა არ გამოუჩინოს, როდესაც ხალხის წარმომადგენელთა უმრავლესობა რესპუბლიკელია. უბედურება ეს არის, რომ ამოდენა გონიერება ღმერთს მაკ-მაგონისათვის არ მიუცია. პარიჟიდამ მოსული დეპეშა გვაცნობებს, რომ მაკ-მაგონს ჟიულსიმონთან წიგნი მიუწერია, რომლითაც სამდურავი გამოუცხადებია ჟიულსიმონისათვის,— სამინისტრო საბჭოში ერთს ამბობდიო და პარლამენტში კი სრულებით სხვა ჰსთქვიო. ამ წიგნის მიზეზით ჟიულსიმონი და ზოგიერთი სხვა მინისტრები სამსახურიდგან გამოსულან. გარდა ამისა მაკ-მაგონს დეპუტატთა პალატისა და სენატისათვის გაუგზავნია შემდეგი წერილი: რესპუბლიკელი კაბინეტში დიუფორისა*) და ჟიულსიმონისა ამაოდ სცდილობდნენ მტკიცედ მოემხროთ დეპუტატთა პალატის უმრავლესობასო. რესპუბლიკის პრეზიდენტს არც სინდისი და არც სამშობლოს მოყვარეობა ნებას არ აძლევს კიდევ გზა მისცეს ამა უმრავლესობასაო. რადიკალების გაძლიერება საფრანგეთის დაღუპვა არისო, და სხვანი.

გარდა ამისა მეორე დეპეშა გვაცნობებს, რომ ჟიულსიმონის მაგივრად სამინისტროს მოთავედ ჰერცოგი ბროლი იქმნებაო. რა ნაირი კაცია ეს ბროლჯი, ამას შემდეგში მოგახსენებთ, ეხლა კი ამას ვიტყვი რომ იგი ყოველს გვარს მთავრობასა შეიშვნევს და რესპუბლიკის მთავრობას კი არა. აქ შესანიშნავი ის არის, რომ მაკ-მაგონმა ვერა ფერი პატივი სცა რესპუბლიკას, რომლისა მოთავედ თვით ირიცხება. დეპუტატთა პალატის უმრავლესობას გზას ველარ მივცემო,—მაშ რიღას რესპუბლიკა ყოფილა, თუკი მისი მოთავე ხალხის წარმომადგენელთა უმრავლესობას გზას არ მისცემს? თუ თავის ხალხის სურვილს არა, მაშ თოფსა და ხმალს გაუხსნის გზას მაკ-მაგონი, როგორც ეტყობა. ესდა აკლდა საფრანგეთს! ეს ამბავი ყოვლად ღირსია ყურადღებისა.

---

**წვრილი ამბები.** ინგლისიდგან ფინანსთა მინისტრს, ნორტკოტს, გლადსტონის წინადადების შესახებ შემდეგი უთქვამს პალატში: ვიდრე ინგლისის სარგებლობას ვნებას არა ვინ არ მისცემსო ესე იგი, ვიდრე ინდოეთის გზას არ შეეხებიან, ინგლისს არავითარი საბუთი არ ექნებაო, რომ მონაწილეობა მიიღოს აღმოსავლეთის ომში.

— გლადსტონის წინადადება უარ-ყუვია პალატს,— 354 წევრს შავი კენჭი ჩაუგდია და 223 თეთრი.

საბერძნეთი დიდ მზადებაშია ომიანობისათვის, თუმცა ინგლისი ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რომ როგორმე დაუშალოს ომში გარევა.

— ათინიდამ იწერებიან, რომ თუ საბერძნეთი ომს არ გამოუცხადებს ოსმალეთსაო, ხალხი უთუოდ აჯანყდებაო. კანდიაშიაც აჯანყება უეჭველიაო.

— რუმინიის მთავრობას თავისი დამოუკიდებლობა და ომი გამოუცხადებია ოსმალეთისათვის. პალატს ათი მილიონი გადაუდვია ომისათვის.

— ავსტრი-ვენგრიას ნეიტრალიტეტი გამოუცხადებია.

— სერბია დიდ მზადებაშია ომიანობისათვის. მისი კნიაზი ორ წყალ შუა დგას, რადგანაც ომი არ უნდა და სხვები კი მისდგომიან ომი გამოაცხადეო ან ტახტიდგან გადადეგო. ამბობენ რომ მილანი მართლა ტახტიდგან გადადგომას აპირობსო.

---

## თ. ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსნი.

### I

ისმინეთ, მსმენნო, ჭირთა-მთმენნო, მომიპყართ ყურნი,
რაგვარნი ჭირნი, ცეცხლნი ხშირნი, მწველნი ალმურნი
ვნახენით როსა, ამა დროსა ზედა-ზედ რთულნი...
წყეულ-არს ის დრო, როს სამკვიდრო დავჰკარგეთ კრულნი,
გვძლივა სოფელმან ხელ-მეოფელმან აწ გვაგო შურნი...

უწყით ყოველთა მახლობელთა მამულნი მათნი,
მუნა მყოფელნი, ყოვლ-მშფოთველნი, სიტყვა ლაქათნი,
ცხოვრება ცუდნი, გულით მრუდნი, პირ-ბნელნი სათნი,
აქვსთ ყოვლთვის ხელად სჯულად მგელად საფრხე, საცთურნი...
გვძლივა სოფელმან ხელ-მეოფელმან აწ გვაგო შურნი...

ქაჯთ ყოფა-ქცევა, ჭამა, სმევა აქვსთ არეულად,
დიდნი მცირენი, გინა ერნი ხელ-ჰყოფენ მგლურად,
ბატონ-ყმობანი, განრჩევანი არა აქვსთ სრულად;

---

*) დიუფორი ჟიულსიმონის წინეთ იყო სამინისტროს მოთავედ.

მოყვარეთ ტკბილთა, ხან-დაზმილთა გულთა ჰკსწყლენ მტრულად
კაცთა მკვლელნი, ლიზღნი, ავნი, ეშმაკთ სადგურნი.—
გვძლივა სოფელმან ხელ-მყოფელმან აწ გვაგო მურნი...

ვინც ჰხვდა მათ მახეს, ჭირთა სახეს არა აქვს შვება,
მათზედ აქთილი, ვით შლილი დაიცარება;
ერთგულთა ჭირლდი, გულთ-საზინდრო მისვდება ხვება,
ეს აქვსთ სიკეთე მათ უკეთე და ნაცვალ-გება...
მუხთლად გვაწვივეს, დაგვახვივეს თავს ბნელნი ზურნი.
გვძლივა სოფელმან ხელ-მყოფელმან აწ გვაგო მურნი.

ნახეთ მოყვასნო, ბრძენთა დასნო, ესე წესია:
შემდგომ საცრუნი მას ჭირველსა უმკვირესია,
სხვათ დიდ-ბოროტს მცირე მათი უმეტესია....
დაკარგეს ყოვლი ჭირნახული გულთ-უმხნესია,
ჰქმნეს სავანენი საუკუნოდ ვით უდაბურნი,—
გვძლივა სოფელმან ხელ-მყოფელმან აწ გვაგო მურნი.

II

დაუდგრომელის მწყემსისა და კეთილის მწყემსისათვის

კობლე და ხლოე.

კ ო ბ ლ ე.

ხლოევ! რაა მაგრე მარტო ტარებს?
არცარა თუ მომახვედი ხარ დღეს მე....
მოკლედ, ხლოევ!.. კობლე არ გებრალება?!
ნუ თუ გული შეგეცვალა როგორმე?

ხ ლ ო ე.

ჩუმად, კობლე! არ გესმის ბულბული?
ვით საამოდ ჰგალობს, ოჰ! მის უსულო!
აქ აღარ ვარ; მან მიმიტაცა გული...
იქნებალა ესთა რამე საამე!..

კ ო ბ ლ ე.

ხლოევ, ხლოევ! შენ მაგ ხმასა საამოს
მარად ისმენ დილასა და საღამოს,
მაგრამ კი კვლავ არა მახსოვს არცა როს,
რომ მაგისთვის მომმორჩოდე სადამე.

ხ ლ ო ე.

მეჰ კობლევ! ასე ტკბილად კვლავ ოდეს,
უმღერნია რომელ სადმე გახსოვდეს!
გესმის ვით ჰყეფს... ვჰგონებ ქვასაც აღბობდეს..,
ნეტა არ ჰსწყდეს ეს ხმა არც დღე, არც ღამე!

კ ო ბ ლ ე.

მე არ ვჰგონებ მას ხმა მეტი ეჩინოს,
მაგრამ... ანუ მეტცა რასთვის მეყვიროს,
ჩემსას იგი გირჩევნია,—გირჩიენოს...
შევჰსცთი და რაჰ! რაღა მარგებს აწ ვაშე?!

წარვედ მასთან... იგი ჩემზედ არ ჰსწბილდეს,
არ გაცდილოს რომ მისი ხმა მოგწყინდეს,
მან დაგასწროს უდგრომლობა, დაჰკვრინდეს
და გაწამოს, ვით აწ შენ მე მაწამე.

---

## კორრესპონდენცია

ერთი უბედური ადგილია და მარშან, თუ არა გცდებით, იმ ადგილს ერთი ბედნიერი მეტყევე (ЛѢСНИЧІЙ) ყოფილა გლეხთა საუბედუროდ. უმუშავნია საწყალის გლეხობის ბედსა და ის მეტყევე იქიდამ სხვაგან გადმოუყვანიათ. გასარებულს გლეხობას ბირ-ჯვარი გადუწერია და ღვთისათვის დიდი მადლობა შეუწირავთ. ამ მეტყევეზედ უწინ იმავ ადგილას თურმე ერთი ღვთის-რისხვა მეტყევე ყოფილა, ამ გადაყვანილს მეტყევეზედ უფრო უარესი. გავარდნილა ხმა, რომ ის უარესი ისევ აქ გადმოჰყავთო. გლეხობას ელდა ეცემია. ვისაც კი ამბავი გაუგონია, უთქვამს: ღმერთმა ხუ ქმნასო, ძლივს მოვშორდით იმ ღვთის-რისხვასა და ნუ თუ კიდევ იმის ხელში ჩავცვივითო. ზოგი ამბობდა: ნუ თუ ვაის გავექცევით და ვუის უნდა შევეყარნეთო. ზოგმა კიდევ სთქვა: ტყუილია, განგებ ამბობენ, იციან რომ ღვთის-რისხვას დაგცდიან, ამას რას იტყვიანო. იმას აქ მოსვლას ვინღა აღირსებს, აქედამ შერცხვენილი გააგდესო. ზოგი კიდევ ღმერთს შეევედრებოდა: ღმერთო ეს ხმა სიზმრად გადააქციე, ავგზ გამტყუნდესო. ერთის სიტყვით დიდი და პატარა გულ დაჯერებული იყო, რომ ან კაცი და ან ღმერთი ამ უბედურებას მათ თავზედ არ მოიყვანს.

აგი უმტყუნა საწყალს გლეხობას იმედმა და მართლა ის ღვთის რისხვა მეტყევე კიდევ თურმე იქ არ მოვიდა!... დაეწყებოდათ წვალება გლეხებს, გაუახლდათ უწინდელი რბევა, ცემა და სუსხი. წინედ რომ იყო აი რა გადახდა საწყალის გლეხების თავზედ:

1) ერთს მ....ს გლეხს, დაბახიშვილს, ხუთმეტი თუმანი წაართვა, იცით რისთვის? ამ დაბახიშვილს თავისი თავლა დაუწვია და მეზობლისთვის მიუყიდნია ოცდაათ თუმნად. მეტყევეს შეუტყვია და არ ვინ იცის რა უფლებით, რისგამო და რისათვის ამ ფულის ნახევარი თვით წაურთმევია.

2) ერთხელ გ.....ი გლეხი სარქისა ფირუშალაშვილი თავისის მამით მოდენილა პ.....ს ბოლოზედ. საში-

ნელი სიცივე ყოფილა, ყურები ხელცახოცით ჰქონიათ ახვეული, უბეში ხელები ჰსწყობიათ. გაჰსწყრომიათ ღმერთი და ის ღვთის-რისხვა მეტყევე შემოჰყრიათ მისის ამალითა. საწყალ გლეხებს უბიდამ ხელების გამოღება დაჰზარებიათ და ქუდი არ მოუხდიათ აქაო და ქუდი არ მომიხადეთო, მიუყენებია მხლებელი დამათრახით სულ ტუტა უქნია. შვილს თვისი ტკივილი დავიწყებია რადგანაც თავისას მოხუცებულის მამის ცოდვით იწოდა თურმე. ბოლოს ღმერთი მოჰგონებია კაცთ-მოყვარეს მეტყევეს და თავი დაუნებებია.

3) დიაკვანს ალექსა ბაქრაძეს რატომ ქუდი არ მომიხადეო ამისთანავე დღე დააყენა თურმე.

4) გ.....წ.....ს მამასახლისს ელიოზ ხოსიტაშვილს თავ-პირი დაამტვრია. ხოსიტაშვილი თავ-სისხლიანი წასულა და უჩივლია მთავრობის წინაშე, მაგრამ დღეს აქამომდე თვით ნაცემმა არ იცის საქმე ჩაფუჩუჩდა, თუ ჰსწარმოებს.

ეს უნარი თურმე ეხლაც თან მოჰყვა. 1) მოვიდა თუ არა, მაშინვე თვისი ერთგული „ობეზჩიკი" გ....-შვილი, როგორც გამოცდილი კაცი, გაგზავნა თვის სახელო სოფელში მ..... მოყოლებული ხ.... მდე და თხოვნით ჰსთხოვა,—სოფელზედ ოცი კოდი პური, ათი კოდი ქერი და სამი ურემი შეშა შემომაწიეთო, ახალი გამოსული „ლესნიჩი" ვარო. წყაროც თვითონ უჩვენებია, სოფლის მაღაზიებიდამ მომეცითო. ყოველის სოფელს ეს უმორჩილესი თხოვნა აუსრულებია. ერთის სოფელს პ.....ს კი მარტო სამი ურემი შეშა მიურთმევია, სხვა კი დაგვითმეო. ბოლოს კი ამ სოფელს მალიან უნანია, ნეტავი ყველა, რასაც გვთხოვდა, მიგვერთმიაო. გამწყრალა მეტყევე ამ წინ დაუხედავ სოფელზედ და საშინლად გადაჰკიდებია. უბძანებია „ობეზჩიკებისათვის, ვის კარზედ ფიჩხი ნახოთ, ან ტყიდამ მომავალი შეგხვდეთ ვინმეო, აწერეთ და სია აქ წარმომიდგინეთო. არ გასულა ამის შემდეგ რამდენიმე დღე და იმ უბედურს სოფელს პ..... ჰსწვევია „ობეზჩიკი" მ....დ...ძე, მოუგროვებია „პოლესოვჩიკები" და მეტყევისაგან ბოძებულის სიის მალითა უვლია კარ-და-კარ და უძებნია საწყალი გლეხობა. ვის კარზედაც თურმე ფიჩხი ნახეს, იმას ურემზედ ორი და ათი შაური წაართვეს, სიაში ჯარიმად ეს ეწერიაო. ერთს გლეხს მუჩაიშვილსა თორმეტი მანეთი წაართვეს. ამ საწყალს სოფელს პ....ს საქმე ისე გაუჭირა ამ „ლესნიჩმა" თურმე, რომ ვენახებში ხესილი უჭრიათ და იმით წასულან ითლად.

2) საფიჩხეში არ ვინ იცის საიდგან ცეცხლი გაჩენილიყო. მეტყევეს ეს ამბავი დაუბრალებია ოთხ-კომლ ყუშიტაშვილებისათვის და ოთხივესათვის ოცი თუმანი ჯარიმა წაურთმევია.

3) ერთი თათრიაშვილის მენახირე თოთხმეტის წლის ბიჭი დაუბარებია „ლესნიჩს" და მიგ სოფელში, საცა მთელი ხალხი იყო შეყრილი, გამოუცხადებია რომ თორმეტი მანეთი ჯარიმა დაგადეო და უნდა მოიტანოო. ბიჭი მაგარზედ დაჰსდგომია. „ლესნიჩი" გაბრაზებულა, ბევრი უყვირნია და ბოლოს დაუმწყვდევია საწყალი ბიჭი გომში და მეორეს დღესვე ბიჭს მამას უნებურად უკისრნია ჯარიმა და მიურთმევია. ეს მთელმა სოფელმა იცის.

4) ამ წლის მარტში სოფელს ს.... დაიბარა სიით კაცები და ერთს იაგორ ასლამაზოვს რვა თუმანი ჯარიმა დაადო. აქედ ეცა ასლამაზოვი, იქით ეცა და ბოლოს თორმეტს მანეთს დაჰჯერა „ლესნიჩი". ამავე დროს მამასახლისს უბრძანა ერთი ურემი შეშა ემოტანა და ლესნიჩისათვის მიერთმია სახლში. მამასახლისმა დაუყოვნებლივ აღასრულა ბძანება.

5) „ლესნიჩის" მხლებელს გ..... შვილს მოუტანია წელს აპრილში ერთის სოფლის კაცისათვის ლესნიჩის ბძანება, საცა ჰსწერდა: მე შენ გიბრძანებ, რათა დაუყოვნებლივ წაართვა ჯარიმა გლეხს ჯამალაშვილს ექვს თუმან ნახევარი და ოთხი აბაზი, მეორე გლეხს გიგლა მეკოკიშვილს ოთხი თუმანი და ორი აბაზი, ხოლო მესამეს თომა გველიშვილს მანეთი და ათი შაური, რადგანაც მაგათ მოუჭრიათ ზომაზედ მეტი ხე. დაშინჯეს ობეზჩიკებმა ხეები და აღმოჩნდა გლეხების სიმართლე, მაგრამ თითო აკტანს და სხვა და სხვა ნობათს მაინც ვერ გადურჩნენ.

6) ერთს დორეულს ფშაველს დაუყენა ხ.....ს ტყეში უ.....წ.......ს გომეშთან ხუთმეტი სული ძროხა საბალახოდ ლესნიჩის ნება-რთვით. წინადვე, რასაკვირველია, საბალახე ლესნიჩიმ გამოართო. ბოლოს წასვლის დროს შარი მოუდო, შენ ტყეში ნახვერი გიჭრიაო და ექვსი ძროხა წაართო. ცხრა ძროხაღა წაიყვანა შინ საწყალმა ტირილით და თავში ცემით. ეს ამბავი მთელმა სოფელმა ხ....მა იცის და უკვირთ ამ საქმეზე ესე როგორ ჩაუარა მეტყევეს. ფშაველს საჩივარის შეშინებია და ეს უმგზავსო საქმე მთავრობისათვის არ მოუხსენებია.

7) სოფელს პ....ში მეტყევის იქ ყოფნის დროს გლეხმა ჩილაშვილმა, რომელსაც ორი მანეთი უნდა მიეცა მეტყევისათვის, ეს ორი მანეთი ობეზჩიკს თურმე ჩააბარა. ბოლოს „ობეზჩიკს" უარი ეყო და როცა გლეხს კიდევ თავისი ეთქვა, მაშინ თვით მეტყევის წინაშე „ობეზჩიკს" ორი ლაზათიანი სილა ერტყა გლეხისათვის, მეტყევეს კიდევ ცხრა მანეთი ჯარიმა წაერთმია საწყლისათვის, ჩემთან ტყუილი როგორ გაბედეო.

აი რა ამბებია ჩვენს მხარეზედ. საწყალი გლეხობა შეჰყურებს ცასა და იმის ლოდინშია, რომ დღეს თუ ხვალ იქიდამ მაინც შველა და ლხენა მიეცემა. გატყავდა ისეც გატყავებული გლეხობა ამის ლოდინში!...

## წერილი პეტერბურგიდამ

1877 წელს 2 აპრილს.

თუ არ ვცდები, ჯერ ჩვენს მწერლობაში სრულებით არა თქმულა რა შესახებ საექიმო კურსებისა, რომელნიც აქ ქალებისათვის არის დაარსებული. ამ კურსების ვითარება და გარემოება დაწვრილებით ვიცი. ისიც ვიცი რა რიგად საჭიროა ქალი-ექიმი საზოგადოდ ყველგან და უნამეტნავესად ჩვენში, საქართველოში. მე ვამბობ: ნამეტნავად საქართველოში, რადგანაც საქართველოში შედარებით უფრო ბევრი უბედურება ხდება ხოლმე მარტო იმისგამო რომ სნეული, ავად-მყოფი ქალი მორცხობს და არ იწვევს მამა-კაცს ექიმსა. მე ჩვენში გამიგონია უკანასკნელს დღეში მყოფის მშობიარის ქალის ქმრისაგან: „რაც უნდა ღმერთი გამიწყრეს, ექიმს არ მოვიყვან, ცოლს არ გავასინჯებო და საქვეყნოდ თავს არ შევირცხვენო". თუნდა ქმარი დაეჯეროთ, თვით ავად-მყოფსა ანუ მის მახლობელთ ხშირად ვერას გზით ვერ დაითანხმებთ, რომ ექიმს უჩვენოს, გაასინჯოს სატკივარი. ექიმი ქალები რომ იყვნენ ეს მაგალითები აღარ იქნებოდნენ და ვინ იცის რამდენი სული დაიხსნიდა თავის-თავს უდროო სიკვდილისაგან. ქალი ექიმ-ქალს არ მოერიდებოდა, რადგანაც აქ მორცხობას ადგილი არ ექმნებოდა.

დრო იყო, როცა ექიმნი მამა-კაცნი და მათთან ერთად თვით საზოგადოებაც ამბობდნენ, ქალს ექიმად ყოფნისათვის არც საჭირო ღონე აქვსო, არც მხნეობა და არც ნიჭიო. ამ მიზეზით ქალს ექიმობის სწავლის გზას უხშობდნენ. წარსულს ვინა ჰსჩივის, უბედურება ის არის, რომ ამ ჟამადაც ისმის მაგნაირი ხმა, რომელსაც არც წარსულს დროში, არც აწინდელში საბუთს ვერ უპოვვიან. ჯერ ისევ ძველ დროს, როგორც ჰსჩანს „ილიადიდამ და ოდისეიდამ" ძველს საბერძნეთში ყოფილან ქალები მკურნალობაში სახელ-გათქმულნი. შემდეგ საბერძნეთის მთელ ისტორიაშივე ისმინებიან სამკურნალო მეცნიერების მცოდნე ქალები: ოლიმპია ტებასელი, ანოდისი და ასპაზია, რომელმაც დასტოვა რაოდენიმე თავისი საექიმო თხზულებანი. მეთოთხმეტე საუკუნეში იტალიაში, პალერმოში, ჰსცხოვრებდა ექიმი ქალი აბელლა, რომელმაც აგრეთვე დასტოვა ჩინებული თხზულებანი ლათინურ ენაზე. მეხუთმეტე საუკუნეში იტალიაშივე ბოლონიის უნივერსიტეტში იყო პროფესსორად ექიმი-ქალი დოროტეა ბოკხი. მეხუთმეტე და მეთექვსმეტე საუკუნეებში საფრანგეთისა და ინგლისის ისტორიებშიაც იხსენიებიან ექიმი ქალები. წარსულ საუკუნეში ბოლონიის უნივერსიტეტში კიდევ იყო ქალი ანნა მობანდი მანცოლინი ანატომიის პროფესსორად. თუმცა შესაძლოა კიდევ რაოდენიმე მაგალითის მოყვანა, მაგრამ მე მგონია, ზემოხსენებული მაგალითებიც საკმაოა იმის დასამტკიცებლად, რომ ქალებს ჰქონიათ მიდრეკილება ექიმობისადმი და კიდევაც შეჰსძლებიათ ექიმობა.

იტალიამ პირველმა გაუხსნა გზა ქალებს უნივერსიტეტებში, მის მერმე შვეიცარიამ, ამერიკამ, საფრანგეთმა და ბოლოს 1871 წელს დიდის ვაი-ვაგლახით ინგლისმაცა. რუსეთში პირველმა ქალმა—უფ. კაშევაროვამ 1869 წ. დაასრულა კურსი პეტერბურგის საექიმო აკადემიაში და მის მერმე ნება არა ქალისათვის არ მოუციათ აკადემიაში ლექციების სმენისათვის. მხოლოდ ამ აკადემიის პროფესსორმა უფ. გრუბერმა მისცა ქალებს ნება ანატომიის სწავლისა და ამაში თვითონ გრუბერი ხელთ-მძღვანელობდა მათ. ამ ჟამად ზემოხსენებულ სახელმწიფოებში ბევრნი არიან ექიმი ქალები, რომელნიც შრომობენ საექიმო ასპარეზზე. რუსეთში ჯერ სულ ორნი არიან: ზემოხსენებული უფ. კაშევაროვა და სუსლოვა, უკანასკნელმა ექიმობა შეისწავლა ციურიხის უნივერსიტეტში. ორნივე პეტერბურგში ჰსცხოვრებენ და მრავალს ჰკურნავენ ქალთა შორის, რადგანაც მრავალი სნეული ქალნი მათ იწვევენ საექიმოდ.

1872 წ. აქაურ საექიმო აკადემიაში დაარსდა ქალებისთვის საექიმო კურსები. ეს კურსები დაარსდა რაოდენიმე კერძო პირების მეცადინეობით და სამხედრო მინისტრის უფ. მილიუტინის თაოსნობით. ამბობენ ვითომც ამ კურსების დადგენისათვის 50,000 მ. შესწირა ერთმა ციმბირში მცხოვრებმა ქალმა, რომელმაც არ ისურვა თავისის სახელის გამოცხადება. პირველად ამ კურსებს ის დანიშნულება ჰქონდათ, რომ ოთხი წლის განმავლობაში უნდა მოემზადებინათ ნასწავლნი ბებია ქალები (ученныя акушерки). ამ დანიშნულებისა დაგვარად ზემოხსენებულის კურსების საქმაში მიღებულ იქმნა თითქმის ყველა საგნები, რომლებსაც ასწავლიან იმავე აკადემიის სტუდენტებს, მაგრამ უმეტესი ყურადღება იყო მიქცეული ბებიაობასა და განსაკუთრებით ქალების სნეულებაზე. ამ კურსების წესდებულებით ნება ჰქონდა კურსებში შესვლისა ოღონდ იმ ასაკგაზდა ქალებსა, რომელნიც წარუდგენდენ მოწმობას ქალების გიმნაზიის, ანუ ინსტიტუტის დასრულებისას ანუ შინაურის ოსტატობის მოწმობასა (свидѣтельство на домашнюю учительницу). ამის გარდა უნდა დაეჭირათ ეგზამენიები არითმეტიკიდამ, გეომეტრიიდამ, ალგებრიდამ, ისტორიიდამ, გეოგრაფიიდამ, რუსულისა და ფრანცუზულისა, ანუ ნემეცურის ენებიდამ. მხოლოდ გეომეტრიის და ალგებრის ცოდნას თხოულობდენ უფრო ვრცლად ვიდრე ასწავლიან ქალების გიმნაზიებში, დანარჩენის ზემოხსენებულის საგნების ცოდნას კი ქალების გიმნაზიების საქმის ოდენათ. გამოცხადდა თუ არა გაზეთებში ამ კურსების დაარსება, ქალებმა განუსაზღვრელის სიხარულით მიიღეს ეს ამბავი და სამის თვის განმავლობაში 130 თხოვნა შემოიტანეს სასწავლებლად მიღებისათვის. ამ რიცხვიდამ, ეგზამენიების შემდეგ, მიიღეს 87, თუმცა კურსების მმართველობა პირველ წელიწადს სამოცდა-ათზე მეტის მიღებას არ აპირებდა. ლექციების კითხვა დაუწყეს ზოგიერთმა პროფესორმა აკადემიისამ და ამათ გარდა რამოდენმა აქაურმა გარეშე ექიმთაცა აკადემიისვე აუდიტორიებში, მხოლოდ კი იმ დროს, როცა ეს აუდიტორიები თავისუფალნი იყვნენ სტუდენტებისაგან. ქალები ვალდებულ იქმნენ ლექციების სმენისათვის ყოველ წლივ ხუთი თუმანი მიეტანათ. პირველ ორ კურსში მათ უკითხავდენ ანატომიას და სხვა ბუნების-მეტყველების მეცნიერებასა ისე, როგორც იმავე აკადემიის სტუდენტებს. დანაშთენს ორს კურსში კი ასწავლიდნენ საექიმო საგნებსა, რომლებიდანაც უმეტესს ყურადღებას აქცევდენ ბებიაობას

და განსაკუთრებით ქალების სნეულობის მკურნალობასა. რიცხვი მოსწავლეთა მსურველთა ამ კურსებში ყოველწლივ მატულობს, მაგალითებრ 1873 წ. 88 ქალი მიიღეს, 1874 წ.—90, 1875 წ.—94 და 1876 წ. —145. წელს ყველა კურსებში სულ 430 ქალია.

პირველი კურს-დასრულება ნასწავლის ბებიებისა უნდა ყოფილიყო მარშან მაისში. მაგრამ მარშან მარტში გამოვიდა უმაღლესი ბძანება, რომ 1) ეს კურსები აკადემიიდამ გადიტანონ აქაურ ნიკოლაევის სამხედრო სამკურნალოში, 2) მიუმატონ მეხუთე კურსი, 3) კურს გათავებულ ქალებს აძლიონ დიპლომი, რომლის ძალითაც მათ ჰქონდეთ ნება ბებიაობისა და ამის გარდა ქალების და ყმაწვილების სნეულების მკურნალობისა, 4) კურსებისთვის საჭირო ფულები ყოველ წლივ აძლიონ სახელმწიფო ხაზინიდამ და 5) კურსები დასტოვონ სამხედრო მინისტრის მხედველობას ქვეშ. მარშან ზაფხულში გამართეს კურსებისთვის ნიკოლაევის სამკურნალოში ანატომიის თეატრი,*) აუდიტორიები და სხვა ყველა საჭირო მოწყობილობა, და ოკტომბერში ქალებმა იქ დაიწყეს ლექციების სმენა. წელს მოუმატეს კიდევ ორი-სამი საგანი სასწავლებლად. ლექციებს უკითხავენ თითქმის იგივე პროფესსორები და ექიმები, რომელნიც ადრე აკადემიაში უკითხავდნენ. პირდაპირი გამგე კურსებისა ეხლა ნიკოლაევის სამკურნალოს უფროსი ექიმია, ამის გარდა ქალებზე ზედამხედველობა აქვს ორს ინსპეკტორსს. ამ ჟამად მეხუთე კურსში 60 ქალია. დასასრული ეგზამენიები მათთვის დანიშნული იყო ამ მაისში, მაგრამ მერმე გადადეს სეკტემბრამდის. როგორც გავიგე პეტერბურგის სამკურნალო მაზრის ინსპეკტორი თურმე ცდილობს, რომ ამ კურსებში კურს დასრულებულ ქალებს მიანიჭონ ყველა ის უფლება, რაიც მამაკაცთ—ექიმებსა აქვთ.

უმეტესს ნაწილს კურსების მსმენელთაგანს სახლიდამ 20—30 მანეთამდე მოსდის. იმისთანებიც არიან მათ შორის, რომლებსაც სახლიდამ ფულები სრულებით არ მოსდით და ცხოვრების სახსარს შოულობენ მით, რომ სხვებს ასწავლიან და ამაში ფულს იღებენ. ამ ჟამად ოცდა ათამდე სტიპენდიებია დადგენილი ზოგი კერძო პირებისაგან და ზოგი სხვა და სხვა გუბერნიების ერობისაგან. გარდა ამისა ორი სამი წელიწადია რაც შესდგა აქ ერთი საზოგადოება, რომ ლიც შეძლებისადაგვარად ეხმარება ღარიბთა მოსწავლეთა ქალთ,—მით რომ ზოგის მაგიერად თვით საზოგადოება იხდის წელიწადში ხუთს თუმანს ლექციების სმენისათვის დანიშნულს და ზოგს მოსწავლე ქალსა თვე და თვე ფულით შემწეობას აძლევს.

ქართველ-ქალებთაგანი ჯერ არავინ არ არის ამ კურსებში, მაგრამ ჩვენ გავიგეთ, რომ ორი ქუთათური ქალი თურმე ამ ჟამად აქ კურსებში შესასვლელად ემზადებიან.

ი. გ—ძე.

---

*) ოთახი, რომელიც არის დანიშნული მკვდრების საჭრელად და ანატომის სასწავლებლად.

## ქალაქის სცენებისაგან

### მუშტი-კრივის მოამბენი

ბა..ბა..ბა...ბა! რა მუშტი-კრივი იყო თქვენი ჭირიმე!

— ეგ სადა, ძმაო-ჯან?

— აი მახათისკენ, კვირა ცხოველთან რომ ხევია. ასეთი მუშტი კრივი იყო, ასეთი, ასეთი, რო..ო....ომ რაღა ვთქვა! მთელი ქვეყანა იქ იყო, შენ გეძინა?

— მერე გაიმართა, ჰა?

— ო...ჰო..ჰო..ჰო..ჰო! გაიმართა და რა გაიმართა! გაიმართა, გაიმართა, რომ რატო არ გაიმართა! მოვიდა შენ ხარ ჩემი ბატონი ქვემო უბანი, მოვიდა ხალხი, მოვიდა ხალხი, რომ ნემსის კუნწი რა არის, ნემსის კუნწი არ ჩავარდება. ახლა მოვიდა ზემო უბანი, მოვიდა ხალხი, მოვიდა ხალხი დასტა-დასტა, რომ შე..ე...ნი ჭირიმე!

— მოვიდნენ და მალე გამართეს კრივი რაღა?

— გამართეს, ალაალა იყო? ჯერ თავი ბიჭები უნდა გამოსულიყვნენ. ზემო უბნიდამ მთაწმინდელი ბიჭები გამოვიდნენ, ქვემო უბნიდამ ყასბები. მაგრამ ჯერ სადა ხარ, ბევრი ლაპარაკი იყო.

— მე კი არ ვიცი! მუშტი კრივის ხეირი წავიდა!.. რაღა კრივია? შეიყრებიან, ერთი საათი ყაყანი აქვთ; რის კრივი, რის ამბავი? ერთმანერთს ლანძღვას დაუწყობენ. მერე ჯიბის ოსტატები შემოძვრებიან და დავი-დარაბა ატყდება. ჰეი გიდი, სად არის ძველი მუშტი კრივი! გახსოვთ, მაგრამ სად გეხსომებათ, ქალაქში რომ ქვის კრივი გაიმართა? ზემო უბნელების თავი მუხრანიანთ არჩილი იყო და ქვემო უბნელებისა ყორხმაზი. ასე დაენაძლევნენ და პირობა დასდვეს: ვინც დამარცხდესო, იმისი სახლი აიკლონო. მოვიდა ყორხმაზი, მოეყვანა თურმე ბორჩალოს თათრები, თავისი ყმები; გაიმართა კრწანისში კრივი. გაიმარჯვეს ქვემო უბნელებმა და გამორეკეს ჩვენი ზემო უბნელები. ასეთი ქვის კრივი გაიმართა რომ შენი მოწონებული. ხალხი რომ გენახა, ლომებათ გადაიქცნენ. კედლებზე კატებსავით ადიოდნენ, ბანების ლაბიარებს აქცევდნენ და წვიმასავით ქვა და აგური მოდიოდა. ქვითკირის კედლებიდამ აგურებს აძრობდნენ. მოვიდნენ სიონ ზემოთ. ქურქჩხანასთან აფთიაქი იყო, სულ აფთიაქი აიკლეს; ქურქჩიხანაში და შუა ბაზარში რომ ხალხი ამოვიდა, ასეთი ქვის სროლა გაიმართა, რომ იმის ზემო და ქვემო ქუჩებშიაც კი ქვა ცვიოდა.

— ვოხ აი! რა იქნებოდა!

— სალაყბოზე გარეკეს, ანჩის ხატამდინ მივიდნენ მოკრივეები რაღა. ის ის იყო მუხრანიანთ სახლს მიახლოვდნენ. მთავრობამ ჯარი გამოგზავნა და სახლთან დააყენა, რადგანაც რომმაო ყორხმაზი მუხანათობსო და ქალაქის გარე-

დამ თათრები მოუყვანიაო, ჯერი არ არისო; როგორ შეიძლებაო. არჩილის სახლი გადარჩა. თორემ, თორემ წასული იყო იმის საქმე. აი რა მუშტი კრივი იყო!

— ეჰ ეგ დიდი ხნის ამბავი ყოფილა.

— არა, ეს გუშინდელი ამბავია, ვარანცოვის დროს იყო. იმაზე წინათ, მეფეების დროს, უფრო დიდი მუშტი კრივი სცოდნიათ. სალდასტით ხის ხმლებით რაღა, კრივი სცოდნიათ. ყველიერებში ასეთი ამბავი იქნებოდაო, რომ რაღა მოგახსენოთ.

— ტა. ტა. ტა ..რა იქნებოდა!

— ეხლანდელ თქვენ მუშტი კრივს ეგვანებოდა! აბა რა მუშტი კრივია? ორი კაცი გამოდიხართ, ერთმანეთს მუშტს უჩვენებთ და გაბრუნდებით. მუშტი კრივი ასეთი უნდა, რომ ერთმანეთს ლამაზათ ძვლები დაურბილოთ. აი ჯან მუშტიკრივო!

— მერე რა იცი, რომ მაგისთანა კრივი არა გვქონდა?

— აბა თქვი, შე პლუტო, ვინ იკრივა? ტყუილი არა თქვა ჰა!

— ჩვენი კიკოლა გამოვიდა, მგელას რომ ეძახიან.

— მერე?

— მერე გამოვიდა ზემო უბნელებიდამ. ჯერ არ გამოდიოდა. გადაეკიდნენ, ჰაი გამოდი, ჰაი გამოდიო? ადგა და გამოვიდა. მგელა ხომ გინახამს?

— არა

— ასეთია, რომ რაღა გითხრა! ტანადია, მაღალ-მაღალი, მხარ ბეჭიანი, ასეთია რომ ჰ....მ! ერთი რო შეხედო, გეგონება, მთააო. გამოვიდა, შენ ხარ ჩემი ბატონი, მგელა და დადგა: აჰაო გამოვედივარო. დადგა ლამაზათა და დგას. ძლივს ჩოხა გახადეს, თავი დამანებეთო, რა გინდათო, ხელს არ აილებთო? აღარ ალაპარაკეს, გააძრეს ჩოხა და წაიღეს. ახლა დგას ის ჩვენი მგელა და ულვაშებს ისწორებს, გადაისვა იდაყოცვილი მარჯვენა ხელი ერთ ულვაშზე, გადმოისვა ახლა მეორე ულვაშზე და იძახის: გავიდეო, გავიდეო? ჰ..ჰ .. გავიდეო! გასვლით გავალო, მაგრამ მაგარი ესაო, ვაი იმის დედასაო, ვინც კი შემხვდებაო და ვინც ჩემს ლიტრიან მუშტებსა ნახამსო! ახლა დგას და უყურებს. რომ არ დადგა, ისე დგას და გადა დგა ფეხი, რომ მოვდივარო. ახლა რო გადასდგა ფეხი და მოდის რალა... უნდა უყურო, თუ როგორ მოდის! წამოვიდა შენ ხარ ჩემი ბატონი და მიდის რალა. იო არ წამოვიდა, მოდის და მოვიდა. წამოვიდა, წამოვიდა და მისვლაზეა რალა! მიდის და ულვაშებს ისწორებს, რო არ მ.დის, წამოვიდა წამოვიდა და რომ მიდის, და მიდის; წავიდა ახლა წავიდა და მიდის—მიდის, წავიდა და ხალხს შეერია!

— მერე?

— მერე და მერე. ხალხში შეერია, ვეღარა ვნახე!

ანჩისხატისუბნელი.

1875 წ.

## სამი თვის ანგარიში

იერის გამსესხებელ-შემნახველის ამხანაგობისა 1-ის იანვრიდგან 1877 წელს ამავე წლის 1-ს აპრილამდინ.

| შემოსავალი: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| წილის ფული 123 წევრისა . . . . . . . | 1756 | 10 |
| ნასესხი თბილ. საურთ. ნდობ. ბანკ. | | |
| პირველათ. . . . . . . . . . . . . . . | 500 | ,, |
| მეორეთ. . . . . . . . . . . . . . . . | 500 | ,, |
| ნასესხი ამხანაგიდგან. . . . . . . . . . . | 400 | ,, |
| წმინდა მოგება . . . . . . . . . . . . . . | 25 | 29 |
| სათადარიგო თანხა . . . . . . . . . . . | 2 | 87 |
| სარგებელი წინეთ დაჭერილი სესხობის | | |
| დროს. . . . . . . . . . . . . . . . . . | 97 | 51 |
| სარგებლი დაჭერი ახალი ვადის მიცემის | | |
| დროს . . . . . . . . . . . . . . . . . | 1 | 25 |
| ვექსილის ქაღალდებისა . . . . . . . . . | 2 | 79 |
| ჯარიმა . . . . . . . . . . . . . . . . . . | ,, | 60 |
| დაბრუნებული ნასესხი . . . . . . . . . | 728 | 10 |
| არის ვექსილის ქაღალდები . . . . . . . | 1 | 20 |
| ჯ ა მ ი. . . . | 4015 | 71 |

| გასავალი: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| გასესხებული. . . . . . . . . . . . . . . . | 3202 | 50 |
| საწევრო შესატანი თბ. საურთ. ნდობის | | |
| ბანკში . . . . . . . . . . . . . . . . . | 100 | ,, |
| დაბრუნებული ნასესხი თბ. საურთ. ბანკში პირ. . . . . . . . . . . . . . . . | 500 | ,, |
| იქვე სარგებელი მეორედ ნასესხისა. . . | 25 | 83 |
| სამართველოს ხარჯი . . . . . . . . . . . | 6 | 15 |
| წილის დაბრუნება . . . . . . . . . . . . | 25 | ,, |
| სარგებელი ვადაზედ წინ გადახდილი | | |
| ფულისა . . . . . . . . . . . . . . . . . | 1 | 90 |
| კასსაში არის. . . . . . . . . . . . . . . . | 154 | 33 |
| ჯ ა მ ი. . . . | 4015 | 71 |

წევრნი გამგებლობისა: { ა. ცხვედაძე.
მღ. თევ. გულისოვი.
აზარია დიაროვი.

# განცხადება

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის მმართველობა ამით აცხადებს, რომ უმაღლესად დამტკიცებულის ბანკის წესდებულების ძალით 25 მაისს 1877 წელსა დღისით, 12 საათზედ ტფილისში, თვით ბანკის სადგურში გაიყიდება უპერეტორჟკოდ ქვემოხსენებულთა პირთა უძრავი ქონება იმის გამო, რომ ამ პირთ არ შეუტანიათ ბანკში აღებულის სესხის მხედვრი შესატანი, დადგინებული წესდების 29,30,34 და 35 პარაგრაფებითა.

| | სახელი და გვარი მათი ვისიც უძრავი ქონება იყიდება. | ადგილი სადაც ქონება იმყოფება. | რა გვარი უძრავი ქონებაა. | აღებულის სესხის თავნი. | | აღებულის სესხის თავნი ყოველ-გვარის შემოსავლიანთ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | მანეთი. | კაპ. | მანეთი. | კაპ. |
| 1 | შემახანიანცი, ალექსი ივანესძე. | ტფილისში, I განყოფილებაში, 3 ნაწილში ორბელიანთ ქუჩაზე № 271. | ერთ სართულიანი (ლაპიანი) ქვითკირის სახლი, მის ქვეშ ადგილი 235 ოთხ კუთხე საჟენი. | 1,743 | 53 | 1915 | 52 |
| 2 | ტერ-მიკირტიჩიანცი, ქრისტეფორე ნიკიტის ძე. | ტფილისში II განყოფილებაში, 12 ნაწილში ნიკოლოზევსკის ქუჩაზედ. | სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი ყოველ-გვარის შენობით, მის ქვეშ ადგილი 634½ ოთხ-კუთხე საჟენი | 79,427 | 7 | 83,833 | 52 |
| 3 | სულხანოვისა, მარიამ ივანეს ასული. | ტფილისში I და II განყოფილებაში, 7 და 14 ნაწილში. | თორმეტი ერთ სართულიანი, ორი ორ სართულიანი და სამი სამ-სართულიანი ქვითკირის დუქნები | 17,582 | 73 | 17,944 | 86 |
| 4 | ადამაშვილი გიორგი ქიტესას ძე. | ტფილისში, I განყოფილებაში, 1 ნაწილში. | ეზოს ადგილი 90 ოთხ-კუთხე საჟენი და მასზედ მდგარი შენობანი | 270 | — | 330 | 40 |
| 5 | სტეფანოვი, გეურქა. | ტფილისში, II განყოფილებაში, 2 ნაწილში. | ცარიელი სასახლე ადგილი 300 ოთხ-კუთხე საჟენი | 1200 | — | 1,349 | 44 |
| 6 | ალექსეევი ანტონ იაკობისძე. | ტფილისში, I განყოფილებაში, 1 ნაწილში. | ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მას ქვეშ ადგილი 37½ ოთხ-კუთხე საჟენი | 600 | — | 670 | 44 |
| 7 | ყარაჯაევი, ივანე სტეფანესძე. | ტფილისში, I განყოფილებაში, 9 ნაწილში. | ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მას ქვეშ ადგილი 52 ოთხ-კუთხე საჟენი | 500 | — | 575 | 4 |
| 8 | მამუკიანცი, ბაგრატ და ალექსი გეურქას ძენი. | ტფილისში, II განყოფილებაში, 13 ნაწილში. | ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მის ქვეშ ადგილი 143 ოთხ-კუთხე საჟენი | 1000 | — | 1087 | 40 |
| 9 | განგებლოვისა, აგრაფინა ვასილის ასული. | ტფილისში, II განყოფილებაში, 14 ნაწილში. | ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფებითა და მის ქვეშ ადგილი 69 ოთხ-კუთხე საჟენი. | 800 | — | 914 | 76 |
| 10 | კვესაძე, ივანე გიორგისძე და ზარიძე გიორგი თამაზისძე. | ტფილისში, I განყოფილებაში, 1 ნაწილში. | სასახლე ადგილი 224 ოთხ-კუთხე საჟენი | 300 | — | 357 | 72 |

| | | | | მანეთი. | კაპ. | მანეთი. | კაპ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11 | კორღანოვი, მერაბ ზაქარიასძე. | ტფილისის გუბერნია-ში, ტფილისისავე მაზრაში სოფ. შავთა და კა-ნეთი. | 252 დესეტინა და 600 ოთხ-კუთხე საჟენი სახნავი, სათიბი და ტყე . . . . . . . . . . | 3979 | 9 | 4188 | 39 |
| 12 | აბხაზი, მცირე წლოვანი ირაკლი ალექსან-დრესძე. | ტფილისის გუბერნიაში და იმავე მაზრაში სოფ. თხინვალი. | 175 დესეტინა, სახნავი და სათიბი, სახლითა და ბაღითა . . | 5976 | 82 | 6086 | 35 |
| 13 | გაბაევი, ანდრია მი-ხაილისძე. | ტფილისის გუბერნიაში, იმავე მაზრაში სოფ. ერ-თვ.სი. | 106 დესეტინა 320 ოთხ-კუთხე საჟენი სათიბი და სახ-ნავი მიწები, სახლითა და ვე-ნახითა . . . . . . . . . . | 4980 | 68 | 5260 | 44 |
| 14 | ორბელიანი, თ. იო-სებ კონსტანტინესძე. | ტფილისის გუბერნია-ში, სიღნაღის მაზრაში, სოფ. კარდანახში. | ვენახი ორი დესეტინა და 90 ოთხ კუთხე საჟენი. . . | 2000 | — | 2098 | — |
| 15 | რუსიევ-ყორღანაშვილი, გიორგი გიორგისძე. | ტფილისის გუბერნია-ში, ქ. თელავში | ერთსართულიანი ქვითკირის სახლი და მის ქვეშ ადგილი 1425 ოთხ-კუთხე საჟენი . . . | 700 | — | 774 | 68 |

ხსენებული უძრავნი მამულნი გაიყიდებიან მთლიანად, მხოლოდ თვითვეულად ცალკე. სათავნო ვალს ზედ მიემატება ბანკში ვადითი შესატანი ფული, ყოველივე ხარჯი რაც ბანკს მოსვლია მამულის გასასყიდლად და-ნიშვნისათვის და გარდა ამისა ყოველივე სახელმწიფო და სასოფლო გარდასახადის ნაშთი (НЕДОИМКА) და ვგრედ შემდგარის ჯამიდამ დაიწყება ტორგი, თანხმად წესდებულების 19 მუხლისა. ამასთანავე მმართველობა ბანკისა აცხადებს, რომ ვალის თავნი, თვითვეულს მამულზედ ნაჩვენები, შეიძლება მოშორებულ იქმნას მსყიდველი-საგან გირავნობის ფურცლითა (ЗАКЛАДНОЙ ЛИСТЪ), რომლის მანეთი მანეთად მიიღება და გარდა ამისა შეიძ-ლება მსყიდველმა, ბანკის თანხმობით, ეს სათავნო ვალი თავის თავზედ გადიღოს, მხოლოდ უსათუოდ კი უნდა მოიშოროს ნაღდის ფულით ის, რაც სათავნო ვალზედ მეტი შემოსატანი ფულია.

თუ პირველი ტორგი, რომელიც 25 მაისს 1877 წ. დანიშნულია, ვერ მოხდა და მამული არ გაიყიდა, ამ შემთხვევისათვის მმართველობა ბანკისა თანხმად წესდებულის 22 მუხლისა, ნიშნავს მეორესა და უკანასკნელ ტორგსა 9-ს ივნისს ამ 1877 წლისას.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 11 Мая 1877 г. Типографія Е. Хеладзе. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.